კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 4 აპრილი, 2004 წელი

№78 (4807)

## შევეწიოთ

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

შპს „კალოიანი და აუდიტი“ – 6 ლარი;
მიშიკო, ნინო, თეა, ეკა ხორგუაშვილები – 100 ლარი;
ნატო ჩოხელი – 100 ლარი;
ბაია, ალექსანდრე ბექუაშვილები – 220 ლარი;
გიორგი თათრიშვილი – 100 $.

## თვალსაწიერი

# უკვდავი ხარ, შენ, ვესპასიანე!

ნათქვამია, გაჭირვება აღმართში აგახტუნებსო.

მეტი გაჭირვება, ჩვენ რომ გვადგია, აღარ იქნება.

იფიქრეს, იფიქრეს და ასახტუნებელიც მოიფიქრეს.

ამ დღეებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა: წინა ხელისუფლების ჩინოვნიკებისგან ამოღებული თანხებით ხელისუფლებამ ბიუჯეტის შევსების „შესანიშნავ წყაროს მიაგნო“ და ამ გზით ბიუჯეტი უკვე 15 მილიონი ლარით შეივსოო. ეს თანხა, საგადასახადო შემოსავლებთან ერთად, საშუალებას იძლევა, შეუფერხებლად გაიცეს ხელფასები და პენსიები, გაიზარდოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაო...

ბიუჯეტის შევსების ამ „შესანიშნავი წყაროს მიგნებამ“ ძველი რომის ისტორიიდან ერთი ეპიზოდი გამახსენა.

გამოჩენილი მხედართმთავარი ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე, რომელიც ნერონის სიკვდილის შემდეგ, 69 წელს, ჯარისკაცებმა რომის იმპერატორად გამოაცხადეს, ერთობ გონიერი და ენერგიული კაცი იყო. ტახტზე ასვლისთანავე შეუდგა იმპერიის მოშლილი ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებას. განაახლა საგადასახადო სისტემა, შემოიღო ახალი გადასახადები. ამან ფართო სამშენებლო საქმიანობის გაშლის საშუალება მისცა (სხვათა შორის, აღადგინა გადამწვარი კაპიტოლეუმი, ააგო ფორუმი და დაიწყო კოლიზეუმის მშენებლობა). ეს ის კაცი გახლავთ, რომლის კეთილ საქმესაც გვაცნობებს მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნულწარწერიანი ქვა: ვესპასიანემ და მისმა შვილებმა „იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოს ძეს, კეისრის მეგობარს და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს“.

იხ. მე-2 გვ.

## კადრი თემაში



ახალი რიკოთის შლაგბაუმი პროკურატურის შენობასთან. მუშაობის პრინციპი: ჩადე მილიონი, გაიარე!

## ალავერდი!

# ცოტამ იცოდა, ყველამ გაიგო

„მასკი-შოუები“ ის-ის იყო იწყებოდა, 3 თებერვლის საღამოს სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებების ბადე სკანდალმა რომ დაანგრია, — ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა სახელმწიფო კანცელარიაში თათბირზე მოტყუებით დაბარებულ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს მერაბ ადეიშვილს ხელი სტაცეს და სულ ციმციმ მიჰგვარეს გენერალურ პროკურატურას, სადაც რამდენიმე ტელეკამერა და ჟურნალისტი „რაღაც სასწაულით“ პირდაპირ სადარბაზოს შესასვლელთან ელოდნენ.

ცოტამ თუ იცოდა, რატომ დასჭირდა პროკურატურას მინისტრის ამ ფორმით დაკავება. დაპატიმრების მიზეზსაც არ ახმაურებდნენ.

არ იცოდა მერაბ ადეიშვილმაც. ამიტომ ჟურნალისტებს ემუდარებოდა, — იქნებ თქვენ მაინც გაიგოთ, ბიჭებოო.

სულ მალე, რაც ცოტამ იცოდა, ყველამ გაიგო: მინისტრი უფლებამოსილების გადამეტებისა და სახელმწიფო ქონების მითვისების ბრალდებით დააპატიმრეს, — მას 500 000 ლარს ედავებოდნენ.

იხ. მე-2 გვ.

## თაობა



ბიჭები. ჯემალ კასრაძის ფოტო.

## გიხაროდენ!

### რატი გადელიაც შეემატა საქართველოს



22 მარტს სხვა ახალშობილებს შორის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში ერთი მშვენიერი ბიჭიც დაიბადა. იგი ჩემი მეგობრების – ნიადაგმცოდნე ანი ესაკიასა და გეომორფოლოგ დიმა გადელიას პირველი შვილია. პატარას რატი დაარქვეს. მისი ამქვეყნად მოვლენით ამაღლდა ჭერი, დიდი სიხარულია ესაკიებისა და გადელიების ოჯახებში, პატარა რატი მათთვის ნანატრი პირველი შვილიშვილია.

**შვილის შეძენას ვულოცავ ანის და დიმას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებ, მათი მშობლები კი მრავალ შვილიშვილსა და შვილთაშვილს მოასწროს ღმერთმა.**

ეკა ლომთაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ინფორმაცია

### დღეს ბზობის დღესასწაულია



დიდმარხვის მეექვსე კვირას, 4 აპრილს მართლმადიდებელი ეკლესია იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლას იხსენიებს. ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, მორწმუნეები დღეს ნაკურთხი ბზითა (ფინიკის ტოტების ნაცვლად) და სანთლით ხელში ლოცულობენ, რაც სიმბოლურად სიკვდილის დამარცხებას და მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას გამოხატავს.

ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება. შაბათს, საღამოს, ცისკრის მსახურებაზე და კვირას, წირვის შემდეგ, შესრულდა ბზის კურთხევა.

სიონის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვა-ლოცვას აღავლენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამღვდელოებასთან ერთად.

### როდის ეწვევა ზურაბ ჟვანია აჭარას?

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გაემგზავრება აჭარაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, იგი აჭარაში პრეზიდენტის დავალებით მომავალ კვირას გაემგზავრება, თუმცა კონკრეტული დრო გადაწყვეტილი არ არის. აჭარაში ჟვანია ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთან მოლაპარაკებებს გამართავს ცენტრსა და აჭარას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების შესახებ“ კანონის მიღებას ითხოვს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

## ინტერპანორამა

<u>გერმანიაში</u> პროფკავშირების დემონსტრაციაში 400 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარემ მიხეილ ზომერმა განაცხადა, რომ აქციის მასშტაბი „ნათელი სიგნალია მმართველი ელიტისათვის და აუცილებელია, წერტილი დაესვას პოლიტიკას, რომლის გამოც მოსახლეობის უმრავლესობა იტანჯება“.



<u>სადამ ჰუსეინის</u> მშობლიური ქალაქის თიქრითის მახლობლად დააპატიმრეს ცხრა ერაყელი, მათ შორის, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის პირადი მცველი. ოპერაციის დროს თიქრითიდან ათ კილომეტრში, ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები.



<u>„ჩემთვის</u> ეს სულერთია. რაც მაფიქრებს, ეს არის ჩვენი ხალხი, ჩვენი ბავშვები და ჩვენი წმინდა ადგილები“, – განაცხადა იასირ არაფატმა არიელ შარონის სიტყვების პასუხად. შარონმა სპეციალური განცხადების დროს თქვა, რომ არაფატი არ შეიძლება თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალავერდი!

# ცოტამ იცოდა, ყველამ გაიგო

(პირველი გვერდიდან)

**გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ მერაბ ადეიშვილი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. მისი გამოხსნა „სულ რაღაც“ 1.500.000 დოლარი დაჯდა. თანხის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა, ნაწილი — გენერალური პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშზე.**

**როგორც ჩანს, ყოფილი მინისტრი „ჟურნალისტი ბიჭების“ პასუხს არ დაელოდა...**

**თუ პრემიერ-მინისტრის ორი დღის წინანდელ პრესკონფერენციაზე ნათქვამს გავითვალისწინებთ, — ისეთი ფინანსთა მინისტრი გვყავს, ბიუჯეტში ჩარიცხულს უკან არავის დაუბრუნებსო, — ძნელი მისახვედრი არ არის: მერაბ ადეიშვილის გადახდილი ფული მისთვის სამუდამოდ დაკარგულია. მით უფრო, მყარად ფეხმოკიდებული დღევანდელი ლოგიკით, — თუ იხდი, ე. ი. აღიარებ კიდეც, ანუ გიღირს!**

**მაგრამ მთავარი ეს არ არის. საკითხავია, საიდან შოულობს ეს ხალხი, ან ვინ უგროვებს მილიონებს?**

**უპასუხო შეკითხვაა. ჯერჯერობით. თუმცა, კარგი იქნება გენერალურმა პროკურატურამ — „მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ“ ბიუჯეტის შევსებასთან ერთად, იზრუნოს და ამავე პრინციპით გაათავისუფლოს წვრილმანი ქურდობისთვის დაპატიმრებული არასრულწლოვანები...**

**P. S. მასალა უკვე მომზადებული იყო დასაბეჭდად, როცა შევიტყვეთ, რომ საპროტესტო აქციებით იმუქრებიან ციხეებისა და კოლონიების ავტორიტეტული ბინადრები. მათი განცხადებით, რამდენიმეთვიანი გაძლიერებული კვების შემდეგ ვერ გაუძლებენ გარდაუვალ შიმშილს და გენერალური პროკურატურისგან მოითხოვენ: ან მაღალჩინოსანი პატიმრების გათავისუფლების გრაფიკი შეადგინონ, ანდა დროულად შეავსონ ვაკანსიები.**

თვალსაჩიერი

# უკვდავი ხარ, შენ, ვესპასიანე!

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა. ვესპასიანემ იმპერიის ცარიელი ხაზინის შესავსებად, ათას სხვა ხერხთან ერთად, ასეთი რამეც მოიფიქრა: საზოგადოებრივ საპირფარეშოებში შესვლა ფასიანი გახადა. როდესაც „ჩეჩმის მონეტებით“ სავსე პირველი ტომარა მიართვეს, ვაჟმა უსაყვედურა, მაგ ფულს ცუდი სუნი ასდისო. იმპერატორი განრისხდა, ოქროთი სავსე მუჭი ცხვირთან მიუტანა, დარწმუნდი, ბრიყვო, არავითარი სუნი არ აქვსო.

ფულს სუნი მართლაც არ აქვს. ოღონდ ეს კია, ვესპასიანე მრავალი ადამიანის მახსოვრობაში სწორედ მის მიერ შემოღებული უჩვეულო გადასახადით შემორჩა.

ვესპასიანე მეც ჩვენში ბოლო ხანს დამკვიდრებულმა მოხერხებულმა პრაქტიკამ გამახსენა: დაგიჭერენ, ფულს დაგაყაჭინებენ და გაგიშვებენ.

რა თქმა უნდა, ეს სქემა ერთობ გამარტივებულად წარმოვუსახე მკითხველს.

სინამდვილეში კი ასეა: თუ „წინა ცხოვრებაში“ აღმატებული სახელმწიფო მოხელე იყავი, ერთ დღესაც მოგადგებიან ნიღბიანი ცენტურიონები, სულ სირბილ-სირბილით მიგაქცუნებენ პროკურატურაში და უმალ სამთვიან პატიმრობას მოგისჯიან. ეს დრო იმისთვის არის საჭირო, რომ ჯერ გამომძიებლებმა კარგად გამოთვალონ“ რა ზარალი მიაყენე სახელმწიფოს შენი წინა ხელისუფლების ჩინოვნიკობით, მერე კი შენ თვითონ გამოთვალო, გაქვს თუ არა დათვლილის ერთბაშად დაბრუნების თავი გირაოს სახით (თორემ, უმეტეს შემთხვევაში, სრულ თავისუფლებაზე როდია ლაპარაკი).

ჩვენი სულით ხორცამდე გაღლეტილი საზოგადოება პირველად შოკში ვარდებოდა გამოძიების მიერ მილიონობით ლარის (ხანდახან კი დოლარის) დასახელებაზე. საიდან უნდა შეძლებოდა, ვთქვათ, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ყოფილ დირექტორს სოსო ნატროშვილს 2 მილიონ 386 ათასი ლარის გადახდა? მაგრამ რა გგონიათ, გადაიხადა, ნათესავებმა და მეგობრებმა შეუგროვეს და პატიმარი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ისე, ზოგს რა ბედი აქვს, უფრო სწორედ, რა ნათესავ-მეგობრები ჰყავს! დანა რომ ყელთან მქონდეს მოტანილი, ჩემიანებში ათას ლარს ვერ შევაგროვებ, ამათთან კი მილიონების ცვენაა!

თუმცა ეს არავისი საქმე არ არის.

დღეს ბიუჯეტის შევსების იმედი ფინანსთა სამინისტრო კი არა, პროკურატურაა. მართალია, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ 15 მილიონი დაასახელა, მაგრამ ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, ბიუჯეტში უკვე 20 მილიონი ლარი შევიტანეო. არ ვიცი, მთავარი ვესპასიანე რომელია, მაგრამ რაკიღა ამ საქმესთან უშუალოდ გენერალური პროკურორია ახლოს, ალბათ მის მიერ დასახელებული რიცხვი უფრო ზუსტია.

სოსო ნატროშვილით დავიწყეთ და ბარემ ყველაფერი ვთქვათ. ხომ ამდენი ფული გადაიხადა, სახელმწიფოსთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად კიდევ 700 ათასი ლარი აქვს მისატანი. ოღონდ, ეს „ნაკლული თანხა“ უკვე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მოქმედმა ხელმძღვანელმა, ესპანელმა ჩინოვნიკმა ალბერტო სოლისმა გადაიხადა.

სახელმწიფოს სასარგებლოდ 225 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ყოფილ მინისტრს დავით კირვალიძეს (50 ათასი ლარი უკვე გადაიხადა). გამოძიება მას სამსახურებრივ გულგრილობაში ადანაშაულებს.

დავით კირვალიძის მოადგილეს ხუტა მამალაძეს კი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ედავებიან და ბიუჯეტისათვის მიყენებულ ზარალად საანგარიშოზე 485 ათასი ლარი „ჩამოუყარეს“ და დაკითხვიდან პირდაპირ იზოლატორში გადაიყვანეს, თუმცა, ჯერჯერობით, ფულის გადახდაზე უარს აცხადებს.

გირაოს გადახდის ქვითარი წარადგინა საგადასახადო სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა იასე ზაუტაშვილმა, ოღონდ, წინასწარ პატიმრობაში დროებით მაინც დატოვეს.

გამორიცხული არ არის, რომ ბიუჯეტში 300 ათასი ლარი შეიტანოს ყოფილმა პირველმა მებაჟემ ლევან ქისტაურმა. სულ კი საგადასახადო და საბაჟო უწყებათა ყოფილ ხელმძღვანელებს (ასევე ჯერჯერობით) 900 ათასი ლარი „შეუკრიბეს“ გადასახდელად.

700 ათას ლართან გამომშვიდობება რომ მოუწევს, უკვე იცის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჭანკოტაძემ.

სატყეო მეურნეობის ყოფილმა უფროსმა შოთა მეფარიძემ კი გუშინწინ გადაიხადა 100 ათასი დოლარი და შინ დაბრუნდა.

ტრანსპორტის ყოფილმა მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა, საპყრობილეში 3-თვიანი ყოფნის შემდეგ, 1,5 მილიონი დოლარის გირაო შეიტანა და პატიმრობა გაუსვლელობის ხელწერილით შეეცვალა.

რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი აკაკი ჩხაიძე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ ასევე ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით პირდაპირ დარბაზიდან გაათავისუფლა. მას პროკურატურა 5 მილიონ დოლარს ედავება. როგორც ამბობენ, სხვადასხვა პირმა მისი სახელით 2,5 მილიონი დოლარი და 1 მილიონი ლარი შეიტანა (საბოლოოდ ეს თანხა 10 მილიონ ლარამდე დამრგვალდება). თავისუფლებამ ბატონ აკაკის შერყეული ჯანმრთელობა უმალ გამოუკეთა. თუმცა, მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში თანხები შეიძლება კიდევ გაიზარდოს.

წესი უგამონაკლისოდ არ არსებობს: თემიდა რატომღაც დუმს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრ დავით მირცხულავას და მეწარმე გია ჯოხთაბერიძის გირაოს საშუალებით გათავისუფლების შესაძლებლობაზე.

SIC! – ყველა დასახელებული ადამიანი, აგრეთვე ისინი, ვინც ჯერჯერობით რიგში დგანან, ანუ ხვალ-ზეგ დაიჭერენ და ფულს დააყრევინებენ, ამ ფულის დაყრევინებით პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს. კანონში არსად წერია, გადაიხდი და ამით სასჯელს აიცილებო. ზარალ-ზიანის ანაზღაურების გარდა, საბოლოოდ სასამართლო გადაწყვეტს, რა სასჯელი დააკისროს ბრალდებულს.

აქვე – ერთი აუცილებელი მომენტი: ზემოთ ხსენებულ საგანგებო ბრიფინგზე ბატონ ზურაბ ჟვანიას საგანგებო ხაზგასმით თურმე, „თუ წინა ხელისუფლების ჩინოვნიკებს ვერ დაუმტკიცდებათ ჩადენილი დანაშაული, მათ მიერ გადახდილი თანხების უკან დაბრუნება აღარ მოხდება“. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „ისეთი ფინანსთა მინისტრი გვყავს, რომელიც ბიუჯეტში შესული თანხის უკან დაბრუნებას არანაირ შემთხვევაში არ დაუშვებს“.

ინფორმაციაში, სადაც ეს გამაოგნებელი ამბავი ამოვიკითხე, მინიშნებული არ არის, რაც თქვა, სერიოზულად თქვა თუ იხუმრა ქვეყნის პრემიერმა. მაგრამ ისეთი პირი უჩანს, მგონი, ბატონ ზურაბს სულაც არ უხუმრია.

ეს კია, ამ ლოგიკით, ჩვენმა კლდესავით შეუვალმა ფინანსთა მინისტრმა არც ის სახელმწიფო ვალები უნდა გადაიხადოს, რომლებითაც წლების განმავლობაში ფაქტობრივად დგებოდა ქვეყნის ბიუჯეტი.

ვინ ოხერი, მიტაცებული უნდა დააბრუნებინო, რაზეა ლაპარაკი! მაგრამ, „თუ წინა ხელისუფლების ჩინოვნიკებს ვერ დაუმტკიცდებათ ჩადენილი დანაშაული და მათ მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება აღარ მოხდება“, რა გამოდის? რაკი წინა ხელისუფლების ჩინოვნიკად დაიბადა, რაგინდ უდანაშაულო და სუფთაც იყოს, უნდა დაჩაგრო, წაართვა და გაანადგურო?

თუ ამჟამინდელ თინეიჯერ სამოხელეო კორპუსს არ ჩათვლით, ყველანი იმ ხელისუფლების დროიდან მოვდივართ და რა ვქნათ ახლა, თავები დავიხოცოთ?

იურისპრუდენციაში ურყევად არის მიღებული მაქსიმა: სჯობს 10 დამნაშავე თავისუფლად დადიოდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს.

რატომ უნდა დაისაჯოს ყოფილი ჩინოვნიკი, თუ ის უდანაშაულოა?

თუმცა ერთი რამ მაიმედებს: ჯერჯერობით, ვინც დაიჭირეს და ფულით გარეთ გამოღწევა მოახერხა, არავინ იჭრის ვენებს, ამ ფულს როდის დამიბრუნებენო...

**ალეკო ასლანიშვილი.**

ბაზები

# „გრენლანდია“ ცივილიზებულად მოქმედების პირობას დებს

საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოს შიდა პოლიტიკურ საკითხებში არ ჩაერევიან.



როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, მოსკოვში ვიზიტის დროს მან რუსეთის ოფიციალური წრეებისგან მიიღო გარანტია, რომ „რუსეთის სამხედრო ბაზები ცივილიზებულად იმოქმედებენ და საქართველოს შიდა საქმეებში არ ჩაერევიან“.

გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, რუსეთი მზადაა შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულება და საქართველოდან თავისი სამხედრო ბაზები გაიყვანოს, თუმცა რა ვადებში მოხდება რუსული ბაზების გაყვანა, ბეჟუაშვილს არ დაუკონკრეტებია. ამასთან მინისტრმა განაცხადა, რომ „უკვე არის რეალური საუბარი ბაზების გაყვანის ვადების შემცირებაზე“. მისი თქმით, შესაბამისი კომისია მუშაობას ერთ თვეში განაახლებს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, რუსეთის მხარესთან მიღწეულია ასევე შეთანხმება გუდაუთის სამხედრო ბაზის ინსპექტირებასთან დაკავშირებით. რუსეთი მზადაა, უზრუნველყოს საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფის უსაფრთხოება, რომელიც გუდაუთის ბაზაზე არსებულ რეალურ ვითარებას ადგილზე შეისწავლის.

**ინტერ-პრესი.**

ეკონომიკა



## წარმატების მიუხედავად პრემიერი უკმაყოფილოა

**პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისგან საქართველოს ეკონომიკის 80-პროცენტიან ლეგალიზაციას მოითხოვს.**

**როგორც მან სახელმწიფო კანცელარიაში საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და 40 მილიონი ლარით მეტია მობილიზებული, კონტრაბანდა მაინც პრობლემად რჩება.**

**პრემიერ-მინისტრმა ფინანსთა მინისტრს დაავალა, აპრილის ბოლომდე მოამზადოს კონტრაბანდასთან ბრძოლის კონკრეტული გეგმა.**

ამინდი

## თოვდა ქუთაისში

**ქუთაისში გუშინ დილიდან თოვლიანი ამინდი იყო. აპრილის თვეში ბოლო ათწლეულებია ასეთი ამინდი არ ახსოვთ. თოვლის საფარმა ქალაქის გარეუბნებში 10-15 სანტიმეტრს მიაღწია.**

**ადგილობრივი სინოპტიკოსების განცხადებით, ღამით მოსალოდნელია მოყინოს კიდეც. აპრილის თვეში ქუთაისში ბოლოს 1964 წელს მოთოვა, მაშინ თოვლი 27 აპრილს მოვიდა.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

დღის შეკითხვა

# აქვს თუ არა საფუძველი ოპოზიციის უკმაყოფილებას?

**საპარლამენტო არჩევნებს ოპოზიციის დიდი მარცხი მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ მას რეალური მხარდამჭერები ძალზე ცოტა ჰყავს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გამოთქვამენ უკმაყოფილებას და მარცხს არა საკუთარ თავს, არამედ სხვადასხვა მიზეზს, უფრო კი ხელისუფლების მხრიდან შედეგების გაყალბებას აბრალებენ.**

**თუ რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციის უკმაყოფილება, ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ მოსახლეობის აზრს:**

**თეონა მამუკიშვილი,**
**სტუდენტი:**

– საფუძველი ნამდვილად აქვთ, აბა, თითქმის ერთპარტიული პარლამენტია საქმე? როგორც უნდათ, ისე გადაწყვეტენ ყველაფერს! პარლამენტში ოპოზიციაც რომ მოხვედრილიყო, აზრთა სხვადასხვაობა იქნებოდა.

**ცისანა ქუთათელაძე,**
**ზოოინჟინერი:**

– ნამდვილად არ შეიძლება ოპოზიცია უკმაყოფილო იყოს. რაც მთავარია, ერთპარტიული პარლამენტი არ გვეყოლება. ერთპარტიულიც რომ იყოს, ქართველები ერთი ჭკუისანი როდის ვიყავით, რომ ახლა გავხდეთ?

**ქუქუნა ლომიძე,**
**პედაგოგი:**

– არა მგონია, უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდეთ. ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა: პარლამენტში იქნებიან ისინი, ვინც საზოგადოების ნდობას იმსახურებს.

**ხიმი ხოხაძე,**
**არქეოლოგი:**

– მე მგონი, არა აქვთ საფუძველი, იმიტომ რომ ხალხის უმთავრესი ნაწილი თავიდანვე ნაციონალების მხარეს იყო. დღესდღეობით ეს ოპოზიცია არაფრის გამკეთებელი არ არის. აი, მაგალითად, ავიღოთ ლეიბორისტები. როგორც რუსეთში ჟირინოვსკი, ისეა ჩვენთან ნათელაშვილი, რომელიც ლაპარაკის გარდა არაფრის გამკეთებელი არ არის.

**მერაბ ღოღობერიძე,**
**იურისტი:**

– ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა, რადგან წინა არჩევნებისგან განსხვავებით 28 მარტს ჩატარებული არჩევნები ობიექტური იყო და ვინც რა დაიმსახურა, ის მიიღო.

**თამუნა ხანიაშვილი,**
**ექიმი:**

– რა თქმა უნდა, აქვს ოპოზიციას იმის უფლება, რომ უკმაყოფილება გამოთქვას, რადგან წლების მანძილზე ყალბდებოდა არჩევნები. რა გარანტიაა, რომ ამ ოროდ თვეში ყველაფერი შეიცვალა?

**ეკა ვარნაძე,**
**ნატო ბუჩაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ურბანიზაცია და ინფრასტრუქტურა

# „ჩეტვერაგი“ და „ჩეტვერაგობა“...

## რამდენი რამე მოხდა „ხუთშაბათს“...

**ხუთშაბათს, 1 აპრილს, ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შედგა არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენლების შეხვედრა სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობასთან, — მინისტრთან თამარ სულუხიასთან და მინისტრის მოადგილესთან არქიტექტურის და მშენებლობის დარგში ვახტანგ ლეჟავასთან. მინისტრმა მადლობა გადაუხადა კოლეგებს, მის ყოფილ პედაგოგებს მობრძანებისთვის და საინტერესოდ აღწერა არქიტექტურის ჩვენეული პრობლემები როგორც ფართო-კულტუროლოგიურ, ისე სამეურნეო ასპექტში. ქალბატონმა თამარმა ყურადღება გაამახვილა უკანონო მშენებლობის პრობლემებზე — რომ არქმშენინსპექციის ფუნქციები გადაეცემა ადგილობრივ მმართველ დაწესებულებებს; ამ სფეროში გაჩნდება რეალური აღმასრულებელი ბერკეტები, რაც ამჟამად არ არსებობს; შეიცვლება მათი მუშაობის სტრუქტურა და სახელი; სამინისტროში, როგორც მართვის სისტემაში, ძირითადად იურისტები იქნებიან.**

ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ, რომ მოსაწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზა, რომ სამინისტროს აღარ უნდა დასჭირდეს სასამართლოს გადაწყვეტილება ობიექტზე შესასვლელად, რომ 80 პროცენტს სცოდავს თავად სასამართლო; პრობლემა სადღაც, რომელიღაც რგოლში ჩნდება და მერე ყველაფერი ირევა. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციების მოგვარების საკითხზე; კომუნისტური მემკვიდრეობის საცხოვრებელი მასივების, კორპუსების მწყობრიდან გამოსვლაზე და იმ საზრუნავზე, რაც მათ შეცვლას დასჭირდება.

ბატონმა ვატო ლეჟავამ მიმოიხილა ჩვენი ქალაქგეგმარების პრობლემები. შეეხო ქალაქის გენგეგმის საკითხს, ფინანსურ პრობლემებს, როგორც საპროექტო, ისე სამეცნიერო-კვლევით და სამეურნეო საქმიანობაში. გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება მინისტრის მიერ დასმული პრობლემების გადაწყვეტის, მათ შორის ინვესტიციების მოზიდვისა და ინვესტორების დაინტერესების საქმეში. მანვე გამოთქვა არქიტექტორთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობის სურვილი და იმედი. ქალბატონმა თამარ სულუხიამ თავის ხელმეორე გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ჩვენი ერთობლივი მუშაობის საბოლოო შედეგზე — **არქიტექტურის მხატვრულ ხარისხზე, არქიტექტურაზე როგორც ნაწარმოებზე, ხელოვნებაზე და ამ პროცესში თავად ავტორის პიროვნულ პასუხისმგებლობასა და უფლებებზე.**

დამსწრე აუდიტორიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აქტუალური პრობლემების განხილვაში, რაც ასე ჭარბად დაგროვდა ჩვენს ამქარში.

ბატონმა **დავით აბულაძემ,** საქართველოს ხუროთმოძღვართა კავშირის თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა სამინისტროს ხელმძღვანელებს შეხვედრისთვის და გამოთქვა სურვილი, რომ ასეთი შეხვედრები ტრადიციად დაინერგოს.

მან ისაუბრა ავტორის უფლებებისა და პასუხისმგებლობის წამოწევაზე, აუცილებელი კანონებისა და წესების განხილვისა და მიღების შესახებ, — ეს გახლავთ კანონი ქალაქმშენებლობის შესახებ; კანონი საავტორო ზედამხედველობის შესახებ, ასევე, შენობათა ექსპლუატაციაში მიღების წესი და სერტიფიცირების საკითხი; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა უფლებრივი ზონირების რუკების განხილვაზე.

საუბარში ისევ ჩაერთო მინისტრის მოადგილე ვატო ლეჟავა და მეტად საჭირბოროტო საკითხს შეეხო: რატომ გადაუხდიან პროფესიონალს, როცა არ სჭირდებათ, ვინც სჭირდებათ, იმას გადაუხდიან, ვინც პროექტს და მშენებლობას „გაათრევინებს“. ეს სიტუაცია რადიკალურად უნდა შეიცვალოს და შეცვლის მექანიზმის ამუშავება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ბატონი **გიგა ბათიაშვილი** (მიმართავს მინისტრს): როგორ მოვახერხოთ, რომ ინვესტორისაგან არ ველოდე მარტო ალტრუიზმს და მეორე, — ურბანული მემკვიდრეობა, ვფიქრობ, სცილდება ძეგლთა დაცვის, ანუ კონსერვაციის სფეროს, იგი განვითარებადი ორგანიზმია და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. მაინტერესებს თქვენი ხედვა.

**მინისტრი:** ინვესტორს რაღაც უნდა შევთავაზოთ, რაღაც რეალური, შეიძლება უფასოდაც (მოჰყავს რამდენიმე მაგალითი), ჩვენ უნდა გადავხედოთ საგადასახადო სექტორსაც, გავატაროთ მისი ლიბერალიზაციის პროგრამა.

**ნოდარ ქვათელაძე:** ჩვენმა ქვეყანამ არ იცის, რა ქვეყანას აშენებს და როგორ შეიძლება ეს იცოდეს ერთმა უწყებამ? — გადარჩენისთვის ვარსებობთ, თუ უფრო მეტი გვინდა? ჯერჯერობით, უნდა გადარჩეს ქვეყანა, ადამიანი უნდა გადარჩეს და მერე სხვა...

არავითარი განსაკუთრებული ურბანული მემკვიდრეობა არა გვაქვს რაც გვაქვს, ვეფერებით როგორც ისტორიას, ძველ ქალაქში უნდა გაჩნდეს უფრო მაღალი შენობები, — ერთი, ორი სართულით უნდა გაიზარდოს ძველი ქალაქის სიმაღლე. საჭიროა რაღაც მსხვერპლი, სხვანაირად ვერ იცოცხლებს ქალაქი. გაჩნდება ახალი ქალაქი, ფიროსმანის ქალაქი აღარ არსებობს, არც მამაჩემის დროინდელი ქალაქი და... ვერც იარსებებს, თუ არ მოხდა ქალაქის ერთიანი რეკონსტრუქცია. არქიტექტურის მიზანი არ არის ლამაზი შენობა-ნაგებობა. არავითარი ფერუმარილი არ უშველის არქიტექტურას (კიდევ რამდენიმე ფრაზა ითქვა ლამაზი შენობების „ბოსტანში ნასროლი“)...

„ლამაზ შენობებს“ ისევ მინისტრი გამოექომაგა, ხოლო განსხვავებული აზრი დარბაზიდან ერთი ამოოხვრით და ორი ამოგმინვით გაისმა.

ქალბატონი **მედეა მელქაძე** (ის სამინისტროს წარმომადგენლების მაგიდასთან გადაჯდა, მიკროფონთან) საუბრობს კონფერენციის მოწვევის აუცილებლობაზე; სამართლებრივ საკითხებს თუ მოვუვლით, ყველაფერი დალაგდება, რომ აღარ შეიძლება „მომწონს-არ მომწონს“ დონეზე ძეგლის მნიშვნელობის განსაზღვრა, ქალბატონი მედეა სახელმწიფო დაცვისა და რეგულირების ზონაში საპროექტო და სამშენებლო პრობლემებთან დაკავშირებით მომზადებულ ტექსტს კითხულობს პუნქტებად:

დაცვისა და რეგულირების ზონებში საზღვრების დადგენის მეთოდიკის კრიტერიუმების გარკვევა და შესაბამისად ამ საზღვრების კორექტირება;

სახელმწიფო დაცვის ზონაში ნაკრძალი ტერიტორიების პრობლემატიკა;

შენობებისთვის ძეგლისა და ძეგლის ნიშნის კატეგორიის მინიჭების კრიტერიუმები;

სახელმწიფო დაცვისა და რეგულირების ზონებში პროექტებისა და კონკურსების ქმედების საზღვრების მეთოდოლოგიის ვექტორების განსაზღვრა;

ურბანული და ლანდშაფტური ძეგლების კანონი, მისი არარსებობის პირობები შესაძლო ადმინისტრაციული მართვითი შეცდომების დარეგულირების მექანიზმის შემუშავება.

მომხსენებელმა ისევ აღნიშნა კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა და სთხოვა სამინისტროს მონაწილეობის მიღება (აქ არ იგულისხმება რაიმე სახის დახმარება. აღნიშნული პრობლემატიკა მ. მელქაძის სადისერტაციო თემის საკითხებია — **შ. ბ.**).

მინისტრმა დააზუსტა კონფერენციაში მისი უწყების მონაწილეობის მიღების რეგლამენტი, თანხმობა განაცხადა და პრიორიტეტებიც აღნიშნა: „მე ვფიქრობ, რომ კონფერენციაზე უფრო მეტად საქმიანი მუშაობა გვმართებს“.

ბატონი **მერაბ ჩხენკელი** მიესალმა სამინისტროში მომხდარ ცვლილებებს, უსურვა წარმატებები და გამოთქვა მხარში ამოდგომის მზადყოფნა. დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა მისეული შეხედულებები სამინისტროს სტრუქტურულ მოწყობაზე, „ჩვენ ადრე ვფიქრობდით, რომ უნდა გაერთიანებულიყო მშენებლობის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და მიწის მართვის სამსახურები, რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას, ის არ არსებობს, მაგრამ არ არსებობს შემსრულებელიც, — დაამთავრა სიტყვა ყოფილმა მინისტრმა.

ამ მომენტში ბატონი **ვახტანგ დავითაია** მივიდა ქალბატონ თამარ სულუხიასთან და როგორც ჩანს, წასვლის მიზეზი უთხრა და დაემშვიდობა. მინისტრმაც რამდენიმე სიმბოლური ნაბიჯით გააცილა ყოფილი პედაგოგი და კათედრის გამგე.

ბატონმა **გივი მეტრეველმა** (ისიც მიკროფონთან გადაჯდა) ისაუბრა ენგურის ხეობის გაუწყლიანებელი ნაწილის (კამხალის ქვემოთ) გეგმარებითი რეგულირების პროექტზე. ამ სამუშაოს მიზანია დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა როგორც ხეობაში, ისე გამორეცხილ ნაპირებზე; შემდგომში ამ ტერიტორიის მიზნობრივი გამოყენება ეკონომიურად მომგებიანი პრიორიტეტებით.

ამასობაში, ჩვენი შეხვედრის დრომ ორჯერ გადააჭარბა შეთანხმებულ რეგლამენტს. მინისტრს სხვა თათბირი ელოდებოდა და ქ-ნი თამარ სულუხია ელეგანტურად დაგვემშვიდობა.

სხდომა ბატონმა ვატო ლეჟავამ განაგრძო.

**შალვა ისაკაძე,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ლანდშაფტის სექციის თავმჯდომარე, საუბრობს მწვანე ნარგავების მართლაც კატასტროფულ მდგომარეობაზე, სარეკრეაციო სივრცეების მოსპობაზე — **„გაპრივატიზებულია ვერის ბაღი, „არტოს ბაღი“, სკვერები, გაყიდულია ტროტუარები, საგანგაშო მდგომარეობაა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, გარდა აჭარისა. სასწრაფო ღონისძიებებია განსახორციელებელი“.**



თამარ სულუხია.

ბატონმა **პავლე ძინძიბაძემ** ისაუბრა საავტორო ზედამხედველობის კანონზე და შენობების ექსპლუატაციაში მიღების კანონებზე, მინისტრის მოადგილეს გადასცა მისივე დამუშავებული წინადადებები ტექსტის სახით.

ბატონი **თემურ ბოჭორიშვილი** საუბრობს გენგეგმის პრობლემებზე: — „ჩვენ გვგონია, რომ გენგეგმა ერთხელ უნდა გაკეთდეს და ერთხელ უნდა დაიხარჯოს ფული, გენგეგმა ეს პერმანენტული საქმიანობაა და არა ერთჯერადი აქცია, საბჭოთა „სნიპების“ დროს განუწყვეტლივ მოდიოდა შენიშვნები და შესწორებები, სულ იცვლებოდა, ემატებოდა, აკლდებოდა და ასე ყალიბდებოდა ნორმატული დოკუმენტაცია“.

დასასრულ, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ დავით აბულაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა სამინისტროს ხელმძღვანელობას და სთხოვა ორმხრივი, პერმანენტული ურთიერთობებისთვის დაენიშნათ კოორდინატორი.

ბატონმა ვატო ლეჟავამ მიგვანიშნა იქვე მყოფ ახალგაზრდა ქალბატონზე — „აი ელენე“ — ასე გაჩნდა ჩვენი მოკავშირე — მშვენიერი ელენე. ამ შემთხვევაში მას გვარი არც სჭირდება.

სათქმელი მეც მქონდა. მომეჩვენა, რომ იქ არ იყო ამის ადგილი, იქნებ, არც ამ ტექსტშია მისი ადგილი, თუმცა დღეს ძნელი დასადგენია საზღვარი ქრონიკასა და ნაფიქრალს შორის. მეც ვიტყვი:

როგორ დავიცვათ არქიტექტურის ზოგჯერ (იქნებ იშვიათად) მოწყვლადი სული, ზოგჯერ (იქნებ უკვე ხშირად) „მტაცებელი კოლეგებისაგან“.

როგორ დავიცვათ ძეგლთა დაცვა, მაშინ მაინც, როცა მას დაცვა სჭირდება;

ან, როგორ დავიცვათ ქალაქის მთავარი არქიტექტორი ზემწოლთა ზეწოლისაგან;

ან (ზოგჯერ) როგორ დავიცვათ ქალაქი მისი მთავარი არქიტექტორებისგან.

ამ პრობლემას ახალი დოკუმენტაცია ვერ უშველის. ის პირველი „დოკუმენტაცია“, ალბათ, იმ მიწას შეერია, ადამი რომ გამოძერწეს.

მავანი იტყვის — გარემო შევცვალოთო, დოსტოევსკის პერსონაჟსაც იგივე დაუჟინია (საუკუნენახევრის წინათ): „Chtlf pftkf“. რეჟისორ ლიუბომოვის სცენურ ინტერპრეტაციაში აღნიშნული კამათის დროს მეეზოვის რეპლიკა შემოდის: „Lf^ ctujlyz djdct yt chtlf — xtndthu“.

ჩვენი შეხვედრაც ხუთშაბათს შედგა. ეს, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია (ეჰ, რამდენი რამე მოხდა „ხუთშაბათს“)... უფრო ლინგვისტურმა მანიპულაციამ მომხიბლა.

**ჩეტვერგი** — ჩეტ-**ვერაგი** და ჩეტ-**ვერაგობა.**

ნეტა, მარტო ლინგვისტური ოპუსები და ლინგვისტური კატასტროფები გვაღელვებდეს, მაგრამ პოსტსტრუქტურალისტებს რა ვუყოთ, იმათ, ვინც ფიქრობენ რომ, ტექსტი სივრცეა.

ღმერთო, შენ დაიცავი თამარ სულუხია ვერაგი თვალისაგან...

**შოთა ბოსტანაშვილი.**

---



## კადრები პრეზიდენტის ადმინისტრაცია მალე დაკომპლექტდება

**პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაცია, სადაც 180 ადამიანი იმუშავებს, უახლოეს მომავალში დაკომპლექტდება.**

**ადმინისტრაცია 12 სამსახურისა და 2 სამდივნოსაგან შედგება. როგორც „ინტერ-პრესს“ სახელმწიფო კანცელარიაში განუცხადეს, პრეზიდენტის ბრძანებით უკვე დანიშნულია 7 სამსახურის ხელმძღვანელი. მათ შორის: ადგილობრივი მმართველობის და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსად— თამაზ ხიდაშელი, კადრების უფროსად — ლელი ლაბაური, მოქალაქეობის საკითხთა, სახელმწიფო ჯილდოების და საპატიო წოდებების მინიჭების სამსახურის უფროსად — გიორგი სურგულაძე, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის — ირაკლი როსტომაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის — მაკა სხირტლაძე, პროტოკოლის — გიორგი გორგილაძე, კანცელარიის უფროსად კი — გუგული კვანტალიანი.**

**ჯერჯერობით, არ დანიშნულან შიდა პოლიტიკის, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, ეკონომიკური, საერთაშორისო ურთიერთობათა და საგარეო პოლიტიკის, კონტროლის სამსახურების უფროსები, თუმცა როგორც კანცელარიაში აცხადებენ, დანიშვნის პროცედურები, სავარაუდოდ, მომავალი კვირის ბოლოსთვის დასრულდება.**

**პრეზიდენტის ადმინისტრაციას ირაკლი ჩუბინიშვილი ხელმძღვანელობს. ადმინისტრაციაში დასაქმებულთა ხელფასი 220-დან 615 ლარამდე იქნება.**

## უამინდობა ბარამიძესაც ხელს უშლის



**შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის სამეგრელოში გამგზავრება გუშინ უამინდობის გამო გადაიდო.**

**როგორც შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში განაცხადეს, გიორგი ბარამიძე სამეგრელოში დღეს 11 საათზე გაფრინდება. მინისტრი სამეგრელოში სპეცდავალებით გაემგზავრება. ჯერჯერობით, სხვა დეტალები არ კონკრეტდება.**

## გირაო სასამართლო დარბაზიდან [redacted]სუფლეს

**[redacted]ელურეთის რაიონის სა-**



**[redacted]ის**
**[redacted]გა-**
**[redacted]ე-**
**[redacted]ს-**
**[redacted]და**
**[redacted]ე-**
**[redacted]ლი**
**[redacted]ე-**
**[redacted]ი-**
**[redacted]არ**
**[redacted]ი აღარ იმყოფება. იგი**
**[redacted]ო დარბაზიდან ქალაქი-**
**[redacted]ელობის ხელწერილით**
**[redacted]ლეს.**
**[redacted]„ინტერ-პრესს“ ადეიშ-**
**[redacted]კატმა გოგმარ გაბუნი-**
**[redacted], სახელმწიფო ბიუჯეტში**
**[redacted]ტურის დეპოზიტზე ადე-**
**[redacted]მილიონი დოლარი უკვე**
**[redacted]ც წინასწარი პატიმრო-**
**[redacted]თავისუფლების საფუძვე-**
**[redacted] ამასთან, ადვოკატის**
**[redacted]მართლომ ადეიშვილის**
**[redacted]ბის მდგომარეობის გა-**
**[redacted]გაითვალისწინა.**

**[redacted]კიები მოგვაწოდა**
**[redacted]რესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რ[redacted]ბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 78, კვირა, 4 აპრილი, 2004 წელი.

ეს იყო

## მთარგმნელისგან

დღეიდან რამდენიმე ნაწყვეტის თარგმანს შემოგთავაზებთ ფრიად უჩვეულო წიგნიდან, რომელიც კი დღემდე იოსებ სტალინზე დაწერილა.

ამ წიგნის ავტორია ნოდარ ჯინჯიხაშვილი (ნოდარ ჯინი), თბილისელი კაცი. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1966 წელს – საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ესთეტიკაში, 1977 წელს კი გახდა სსრკ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფილოსოფიის დოქტორი. მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, მოსკოვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ფილოსოფიასა და კულტურის ისტორიაში. 1980 წლიდან ცხოვრობდა აშშ-ში. 1981 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში როკფელერის პრემიის ლაურეატი გახდა. ამერიკულმა პრესამ მას „გასაოცრად მრავალმხრივი და ფაქიზი ინტელექტუალი“ უწოდა.

მუშაობდა კორპორაცია ბი-ბი-სი-ში. უყვარდა საქართველო, თბილისი. მისი ძმა რომან ჯინჯიხაშვილი ცნობილი მოჭადრაკეა, კარგა ხანია, რაც ამერიკელი გროსმაისტერია.

ქართველი იუდეველი ნოდარ ჯინჯიხაშვილი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

ნოდარ ჯინის ეს ნაწარმოები გადაწყვეტილია როგორც იოსებ სტალინის აღსარება, სადაც ავტორი თავმდაბლურად ამ დიდი პიროვნების მონათხრობის მხოლოდ ჩამწერის როლში წარმოგვიდგება. პირველ პუბლიკაციაში, რომელიც 1997 წელს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მესამე ნომერში შემცირებით გამოქვეყნდა, სწორედ ასე წერია: „იოსებ სტალინი. მოძღვარი. ნოდარ ჯინის ლიტერატურული ჩანაწერი“.

თარგმანი, რომელსაც გთავაზობთ, ფაქტობრივად, ბწკარედია. არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ლიტერატურული თარგმანის პრეტენზია. და თუ „საქართველოს რესპუბლიკა“ ასეთ თარგმანს მაინც გთავაზობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ აგერ შვიდი წელიწადი გავიდა პირველი პუბლიკაციიდან და ჩვენს ცნობილ მთარგმნელებს ამ წიგნისთვის ხელი ჯერ არ უხლიათ.

რის გამოც მკითხველმა ბევრი რამ დაკარგა.

ამ ხარვეზის ასე თუ ისე ამოსავსებად სახელდახელოდ შევეჭიდე ამ ძნელ ამოცანას და, ვიმედოვნებ, რომ, უწინარესად, ნოდარ ჯინჯიხაშვილის ნათელში დავანებული სული და მზეგრძელი ჩვენი მკითხველებიც მომიტევებენ უსრულობას და გაუმართაობას თარგმანისა.

მაშ, ვიწყებთ. წიგნის ფინალი. ასე ჰყვებოდა იოსებ სტალინი. ტრაგიკული აღსასრულის მოლოდინში.

არმაზ სანებლიძე.

# იოსებ სტალინი

# მოძღვარი

## ნოდარ ჯინის ლიტერატურული ჩანაწერი



### ჩვენს ლეგენდას აუხდენლობა აკლია

მართალი ვიყავი. გული ამერია...

რა მოხდა? – ჩემს თავს ჩავეკითხე. ეს ჩვეულებრივი კითხვა ახლა უაზრო იყო. არაფერიც არ მოხდა. უბრალოდ, პირველად ცხოვრებაში გული ამერია არაფრის გამო. შესაშფოთებელიც არაფერია, რადგან, უბრალოდ, ცხოვრებაში პირველად დავბერდი.

მოახლოებული დასასრულის შესახებ ვარაუდიც კი განვაგდე. სიბერე არაფერ შუაშია. უმიზეზო გულისრევა ადრეც მქონია. ნადიას* დაკრძალვის დროს, მაგალითად.

მაგრამ ღებინებამდე საქმე არ მისულა. სიბრაზით დავიცავი თავი.

მივყვებოდი კუბოს, მივათრევდი ფეხებს და ვფიქრობდი, რომ ამიერიდან და სამუდამოდ მარტოდმარტო ვრჩები. და არავინ იქნება, ვისაც ვეყვარები. და ამიერიდან ჩემს სულთან არავის არაფერი ესაქმება. და რომ ეს დიდი უსამართლობაა. თუნდაც იგი, ეს სული, ცარიელი იყოს. ისევე, როგორც თითქმის ყველა ადამიანის.

და მაინც უსამართლობაა, რომ არავის აღარაფერი ესაქმება ჩემს სულთან. მე ნორმალური ადამიანი ვარ. ნამდვილი. მე არ შემიძლია, თუ არავის არ ვჭირდები...

გამართულად მივდიოდი, მაგრამ ვოროშილოვი, რომელიც ჩემს გვერდით მოაბიჯებდა, დროდადრო იდაყვზე მომიჭერდა ხელს და ორ სიტყვას წარმოთქვამდა: „სოსო! გამაგრდი!“ ყოველ ჯერზე, სიტყვების თანმიმდევრობას ცვლიდა. მე ხმას არ ვიღებდი, და მას ეგონა, ვითომ მჭირდებოდა მისი თანაგრძნობა. თითქოს ტკივილს მიმსუბუქებდა მისი ხელის შეხება ან სიტყვები.

პირიქით, ყოველი ნაბიჯის შემდეგ, უარესად ვხდებოდი. იმიტომ, რომ ვოროშილოვის თანაგრძნობა არ მჭირდებოდა. არავინ არ მჭირდებოდა, ნადიას გარდა.

და დამეწყო გულისრევა. მისმა უმიზეზობამ შემაშინა. ისე არა, როგორც შეგაშინებს საჭმელში კალიუმციანიდის არსებობაზე ფიქრი. სხვაგვარად შემაშინა.

მივხვდი, რომ ჩემი გულისრევა უმიზეზო არ იყო. გული მერეოდა მიზეზთა შორის უსაშინელესის გამო. მარტოობის წინაშე უძალობის გამო. უსასოობის ეს გრძნობა ნადიაზე გაბრაზებად გადმოინთხა. რამეთუ მიჰყავდათ იგი ჩემგან იმიტომ, რომ თავად წავიდა.

როცა ვოროშილოვმა კვლავ წამატანა იდაყვში ხელი, პირის გაღება არ ვაცალე. გამოვვარდი, გავეცალე ხალხს და შინ წავედი.

ახლა არავინ იყო, ვინც გამაბრაზებდა. იოსკა არაფერ შუაშია. მე უკვე თავადაც ვხვდებოდი, რომ მოძღვარი ოდესმე აღარც მოძღვარი იქნებოდა, არც ღმერთი, – ადამიანი გახდებოდა. ნამდვილი. მაგრამ ნამდვილი ადამიანი დიდი ხანია არ მჭირდებოდა.

იესო ქრისტეს ნადიას შემდეგ მტკივნეულად ვუბრუნდებოდი. ვცდილობდი, დამევიწყებინა იგი და უბრალო კითხვას ვუსვამდი ჩემს თავს: ვინ იყო ნადია?

მარტივი პასუხით ვცდილობდი თავიდან მომეცილებინა იგი: ნადია არავინ არ იყო. ჩვეულებრივი, ნამდვილი ადამიანი იყო. ერთი იმათგანი, ვის გარეშეც ნებისმიერ ნამდვილსავე ადამიანს თავი იოლად გააქვს. ერთი იმათგანი, ვისაც ვერ იხსომებ.

მაგრამ ამ სიმართლემ მაშინ უკეთ ვერ გამხადა. პირიქით, დაკრძალვის შემდეგ დღითი დღე ძლიერდებოდა ტკივილი. რადგან ყოველი დღე ახალი შეკითხვებით მაწამებდა.

თუმცა, ყოველსავე დღეს ვხვდებოდი, რომ ამ შეკითხვებს პასუხს ვერ გავცემდი მანამ, სანამ ვერ ვიპოვნიდი პასუხს მათგან უმარტივესზე: ასე რადა მტკივა ნადიას გარეშე? ამ ნამდვილი ადამიანის გარეშე.

პასუხი ვიპოვნე. მტკიოდა იმიტომ, რომ იგი ჩემთან იყო და ვუყვარდი, რაც, – ესეც მარტივია, – მთელს სამყაროსთან მაკავშირებდა. ნამდვილ სამყაროსთან. ან მალავდა მასთან ჩემს გაუცხოებას.

ნადიას ჩემდამი სიყვარული მაზიარებდა სამყაროს ცნობიერებას. იმას, რაც ერთადერთია და გვიცავს განწირულობის შიშისგან.

და აი მისმა წასვლამ ეს კავშირი გაწყვიტა.

მართალია, მივხვდი მაშინ, რომ სხვა ყველაფერზე უფრო გჭირდება შენდამი სიყვარული. და თუ ყველა შენს გარშემო მიხვდება ამას... თუ, მაშასადამე, გარშემო მყოფთ, ყველას, ვიღაცა ეყვარება, მაშინ მსოფლიო, – სანამ ყველას ვიღაცა ეყვარება, – არ დაიშლება. როგორც ჩემში დაიშალა იგი ნადიას გარდაცვალებასთან ერთად.

სწორედ ამის შეგნებამ დამაბრუნა იესო ქრისტესთან. რომელიც ამასვე გვასწავლიდა. და რომელიც ამიტომ იყო მოძღვარი.

და რომელსაც, ეს კი მთავარია, აკი ამიტომ თავად უყვარს ყველა და თითოეული, მათ შორის, მეც! უყვარს უსაზღვროდ. საკუთარ თავზე უფრო მეტად. ისეთი სიყვარულით, რომელზეც ოცნებობს ყველა, მაგრამ როგორიც არავის ძალუძს. ჩვენი გულისთვის საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმის ფასად უყვარს.

სათავისოდ კი არა, როგორც ნადიას. ჩემზე რომ ეფიქრა, არ წავიდოდა.

ქრისტესთან დაბრუნებამ დამიბრუნდა გრძნობა, რომ მიტოვებული არ ვარ. არ ვარ მარტოსული. რომ ჩემთან ახლა არის ის. რომ მე უწინდებურად ვიღაცას ვუყვარვარ. და ჩემი სიყვარულის გამო უკვე აღარავინ განმშორდება, რადგან ქრისტე მარადიულია.

ეს რწმენა უძლიერესი იყო. ნებისმიერ დაეჭვებაზე უფრო ძლიერი იყო ყველაფერ იმაში, რასაც ჯერ კიდევ მოძღვარი გვასწავლიდა. თითქოს მორჩილება კარგია. თითქოს ქვეყნის დაქცევა ცუდია. და თითქოს მას კრახს აცილებს მხოლოდ სიყვარული.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებმა უფრო ძლიერი სიყვარული ვერ ისწავლეს, ხოლო ქვეყნად სუფევა არ დამყარებულა, მივხვდი, რომ მოძღვარი ადამიანში უძლეველია. რადგან ადამიანს არ სურს, რომ მას, ადამიანს, სძლიონ.

ამიტომ გახდა ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი.

მაგრამ როცა (თუმცა სხვაგვარად) ღმერთად ვიქეცი მეც, ნამდვილი ადამიანი, ჩემი სული დაღრღნა დაეჭვებამ, რომ იგიც ასეთივე იყო. და რომ მისი უძლეველობა ლეგენდის გადაულახაობაშია.

რომელშიც ყველაზე უტყუარი არის ადამიანის ოცნება, ყველაფერ დანარჩენზე უფრო მეტად რომ უყვარდეთ იგი.

და აი, ახლა მოძღვარსაც მაცილებდნენ. ისიც თვითონ მიდიოდა. ახლა, უკვე საბოლოოდ, ვრჩებოდი მარტო...

მაგრამ გული სხვა რამისა გამო ამერია. იმის გამო, რომ მივხვდი, – ბერია მართალია. რადგან ლავრენტისეული სიმართლე ჩემი სიმართლეც არის.

მოძღვართან გაშორება უსასოობისთვის მწირავდა. იოსკამ მართლაც, როგორც დასაწყისში ბერიამ მომახსენა, ქურმანიდან ჩამოიტანა ბომბი, რომლის აფეთქება მე მომიწევდა. სხვაგვარად მომავალ კრახს ეს მსოფლიო ვერ გადარჩებოდა.

თუ მასში ჯერ კიდევ ცოცხლობს ლეგენდა მოძღვარზე, ჩვენი ლეგენდა ამ ქვეყანას კრახის შემდეგ ვერ შეკრავს და ვერ აალორძინებს.

ლეგენდას არ ჰყოფნის აუხდენლობა. პოეზია. ნადიას მოძღვარი – ილიჩი სიკვდილის შემდეგ ღმერთად კი იქცა, მაგრამ, როგორც ყველა, დაბლა დაეშვა. ჭეშმარიტი მოძღვარი კი ზეცად ალევლინა. სადაც დღესაც თითოეულ სულზე გული შესტკივა.

(გაგრძელება იქნება).

* **ნადეჟდა ალილუევა** – სტალინის მეორე ცოლი, რომელმაც თავი მოიკლა.

სიტუაცია

### რუსული ტანკები კვლავ „გულაობენ“

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის ახალშენის სატანკო ბატალიონის ტანკისტებმა არც გუშინ დაარღვიეს ტრადიცია და გამთენიისას, 8 საათსა და 30 წუთზე ახალშენიდან გონიოს პოლიგონზე გადაადგილდნენ.

ამჯერად, ახალშენის სატანკო ბატალიონიდან გონიოში ხუთი ტ-84 ტიპის ტანკი გადაადგილდა. იმავე წყაროს ინფორმაციით, ერთი, ნომერ 193-ე ტანკი, გონიოსაკენ მიმავალ, ბათუმი–ახალშენის გზის მონაკვეთზე გაფუჭდა და ბათუმის გარეუბანში დგას.

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, მარტის შუა რიცხვებიდან თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირების პირველივე დღეებიდან, ბათუმსა და მის შემოგარენში აჭარაში განლაგებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის ტანკების გადაადგილება, საქართველოში რუსეთის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, ერთი დღითაც არ შეწყვეტილა.

დედაქალაქი

### კედლებიდან ფხეკენ წინასაარჩევნო პლაკატებს

რუსთაველის პროსპექტი წინასაარჩევნო პლაკატებისგან იწმინდება.

გასუფთავების სამუშაოებში გუშინ დილიდანვე მონაწილეობდნენ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის, ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და „ნაციონალური-მოძრაობის“ ახალგაზრდული კავშირის წარმომადგენლები.

### გაზაფხულზე იხსენებენ ბუნებას

თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ინიციატივით, გუშინ გლდანის მე-3 ა მიკრორაიონში გამწვანებითი სამუშაოები ჩატარდა. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხევის გამწვანების ღონისძიებებში გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან ერთად, რაიონის გამგეობა და მოსახლეობა დილიდანვე მონაწილეობდა.

ახალი ნერგებისათვის ორმოები საგანგებოდ გაითხარა და სხვადასხვა ჯიშის ფოთლოვანი ნერგები გაშენდა. გარდა ამისა, გაიწმინდა ხევი, მისი მიმდებარე ტერიტორია კი დაიბარა.

გამოფენა-გაყიდვა

### ვერ იყიდი? ნახავ მაინც...

ქუთაისელმა დიზაინერმა ანა თორთლაძემ მშობლიურ ქალაქს ფეხსაცმლის ახალი, საგაზაფხულო კოლექცია წარუდგინა. გამოფენა-გაყიდვა ქუთაისში არსებულ მაღაზია-სალონ „ანაში“ მოეწყო.

„სამწუხაროდ, ყველა მოდელის წარმოდგენა ვერ მოვასწარი, რასაც საშემოდგომო ჩვენებაზე აუცილებლად შევძლებ,“- განუცხადა ჟურნალისტებს ანა თორთლაძემ.

დაინტერესებულ დამთვალიერებლებთან ერთად გამოფენაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მივიდნენ.

ანა თორთლაძე, რომელიც ცნობილი კალათბურთელის, სულიკო თორთლაძის ქალიშვილია, ქუთაისში ფეხსაცმელების ერთადერთი დიზაინერია. მისი სალონი ქუთაისში ორი წლის წინათ გაიხსნა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ

# შენ და მე



ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ დაბრუნებულს შოთა შინ არ დამხვდა. დამირეკა, შემაგვიანდებაო. სწორედ იმ დღეს გამოაცხადეს შოთასთვის საკავშირო სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის მინიჭების შესახებ. განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. რაკი შოთა შინ არ იყო, გვთხოვდნენ, მილოცვა გადაგვეცა. ჩვენც ვწერდით და ვწერდით გვარებს. ვინ აღარ გვირეკავდა; ზოგი პრემიას გვილოცავდა, ზოგი თავმჯდომარედ დანიშვნას.

ჩვენთვის კი იმ დღიდან დაიწყო ნამდვილი ჯოჯოხეთი; აღარც დღე გვქონდა მშვიდი და აღარც ღამე. ვინღა არ მოდიოდა: ახლობელი, შორებელი, მეგობარი, ნათესავი, ყველა რაღაცას ითხოვდა. მწერლებს ხომ მაშინვე მოუნდათ ბინები. ზოგს თავისთვის, ზოგს შვილისთვის. ზოგს წიგნის გამოცემა უნდოდა, ზოგს სამსახურის შოვნა. ყველაზე საშინელი კი მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად დანიშვნის მოთხოვნა იყო.

ერთ დღეს ბატონი ნიკა აგიაშვილის ჭირის სუფრიდან ორი გადამთვრალი კაცი მოვიდა. ერთ-ერთი მათგანი პირველად იყო ჩვენთან, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, კატეგორიულად მოეთხოვა მდივნის ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუძინებელ მტრად მოკიდებით დაემუქრა შოთას.

თავმჯდომარეობამ შოთას ერთადერთი სიკეთე მოუტანა, მაშინ გაიგო, ვინ ვინ იყო, მაშინ გამოჩნდნენ ამბისტანიები, ყურში მოჩურჩულენი. ორი დაახლოებული პიროვნება სახლიდან დაითხოვა. შეწუხებული რომ მნახა, ამიხსნა, აღარ შემიძლია ამდენი „ამან ის თქვა, იმან ეს თქვას" მოსმენაო.

ცოტა ხანში განაწყენებულების არმია გაჩნდა, ზოგი უკვე ამრეზილად იყურებოდა, ზოგი საერთოდ გაებუტა. მეგობრებიც ბლომად გამოუჩნდნენ, თუმცა მათი მეგობრობა შოთას თავმჯდომარეობის ხანგრძლივობით განისაზღვრა. იმ ხანებში საერთოდ ბევრი უღირსიც მიეტმასნა; არ სიამოვნებდა, მაგრამ ხელს ხომ ვერავის ვკრავო, ამბობდა. არც დასჭირვებია ხელის კვრა. თავმჯდომარეობიდან რომ გაათავისუფლეს, ის ერთწლიანი მეგობრები მაშინვე მიიფანტ-მოიფანტნენ და ახლა სხვა თავმჯდომარეს შემოეხვივნენ ფითრივით.

სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად 1984 წელს ერთდროულად იყვნენ წარდგენილი შოთა და ევგენი ევტუშენკო. მართალია, შოთა და ევტუშენკო მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ ერთმანეთის ლექსები მრავლად ჰქონდათ ნათარგმნი. ბრწყინვალედ თარგმნა ევტუშენკომ შოთას „სინანულის ბალადა ანუ ოი, ოი...", არც შოთა დარჩენილა ვალში – ევტუშენკოს ლექსების შოთასეული თარგმანებიც გამორჩეულია. შესანიშნავადაა თარგმნილი პოემა „ბამი". ასეთმა შემოქმედებითმა ურთიერთობამ საკმაოდ დააახლოვა ისინი ერთმანეთთან. ერთმანეთის პოეზიაზეც ორივეს მაღალი შეხედულება ჰქონდათ. ამის დასტურია ევტუშენკოს წერილი „მეომარი სული".

„საერთოდ, რითაც გვანცვიფრებს შოთა ნიშნიანიძე – ესაა თანამედროვე პოეზიის უიშვიათესი მრავალფეროვნება. თემათა მრავალფეროვნება – რევოლუციური მოქალაქეობრივი ლექსებიდან მოყოლებული უინტიმურეს ჩურჩულამდე. მრავალფეროვნება ფორმისა – ფოლკლორული ტრადიციებიდან მოკიდებული კლასიკურ ლექსებამდე, და ბოლოს, ექსპერიმენტულ თავისუფალ ლექსამდე, რომელშიც ზოგიერთი მელექსისგან განსხვავებით, უსირცხვილოდ რომ გადმოაქვს დასავლური ნიმუშები, შოთა ნიშნიანიძე თავს, მართლაც, თავისუფლად გრძნობს. მრავალფეროვნება ისტორიაში წვდომისა – აქ არის ნაპოლეონიც, მიქელანჯელოც, ამორძალებიც, სამასი არაგველიცა და დიდი სამამულო ომიც. შოთა ნიშნიანიძე მოუწოდებს თავის მეომარ სულს, ხელი გამოუწოდონ უიტმენმაც, ლორკამაც, გავროშმაც და თვით აბრეშუმის ჭიამაც კი. მე მგონია, ბევრი თანამედროვე, თუნდაც ძალიან ნიჭიერი პოეტი, ხანდახან ამაოდ ირჯება და იმეორებს უკვე გამომუშავებულ საკუთარ ხერხებს. შოთა ნიშნიანიძე გამუდმებით ეძებს გამოხატვის ახალ საშუალებებს, არ ეშინია უგემოვნობაში გადავარდნისა და ამით სრულიად განსხვავდება დავარცხნილ-დაუთოებული მწერლებისაგან, რომელთაც არაფერი აბადიათ ნავარჯიშევი გემოვნების გარდა. მაგრამ ასეთი მწერლები მოსაწყენი არიან, შოთა ნიშნიანიძე კი – არასოდეს. ესაა პოეზია, რომელიც წყურვილს კი არ გიკლავს, არამედ თავადაა წყურვილი. შესაშური სიცოცხლის წყურვილია, რომელშიც სულიერი სიხარბის ნასახიც არ არის. ესაა წიგნის სამასორმოცდაშვიდ გვერდზე გადმოღვრილი უშურველობა კაცისა, ვისაც პოეზია ამ ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარს, მაგრამ არასოდეს აყენებს მას ადამიანზე მაღლა, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია".

თუ ნიშნიანიძეს არ მიანიჭებენ ლაურეატის წოდებას, მეც უარს ვიტყვი პრემიის მიღებაზეო, – საჯაროდ განაცხადა ევტუშენკომ. საბედნიეროდ, ორივენი ლაურეატები გახდნენ.

იმ ხანად ევტუშენკოს ჩაფიქრებული ჰქონდა ფილმის გადაღება ჭარმაგ მუშკეტერებზე და შოთას ეხვეწებოდა, ათოსის როლი შეასრულეო.

„სიტყვაძვირობითა და შინაგანი ღირსებით „სამი მუშკეტერის" ათოსს ჩამოჰგავს. ზორბა ტანისაა, ოდნავ მძიმე ნაბიჯი აქვს, სწორედ მძიმე ნაბიჯი და არა უბრალოდ სიარული. ჰაიჰარად არ გახსნის ბაგეს, კეხიანი ცხვირით მიაპობს თბილი პურის სურნელით გაჯერებულ თბილისის ჰაერს. აი, ასეთია ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის გარეგნული პორტრეტი, ვინც ცხოვრებასა და პოეზიაშიც ისევე აუჩქარებელი და დინჯია, როგორც მისი სამშობლოს მწყემსები და მევენახეები.

რატომ ვიწყებ ამ წერილს პოეტის პორტრეტით? იმიტომ, რომ არსებობს ერთი უბრალო და აუცილებელი კანონი: თუკი ლექსები არ ჰგავს ავტორს, ან ავტორი არ ჰგავს თავის ლექსებს, მაშინ იგი დიდი პოეტი არ იქნება".

მოსკოვიდან რომ დარეკავდა ევტუშენკო, ათოსი შინ არისო? – იკითხავდა. მეც მისი მიბაძვით ზოგჯერ შათოსს ვეძახოდი ხოლმე შოთას. ისიც წინდებში შარვალჩატანებული, ხმლითა და მრგვალი ბალიშის ფარით შემოვარდებოდა სამზარეულოში.

პრემიის დიპლომების მისაღებად მოსკოვში უნდა ჩასულიყვნენ ლაურეატები. შოთა ავადმყოფობის გამო ცერემონიალს ვერ დაესწრო, რასაც საკავშირო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მარკოვი გაუნაწყენებია. ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ როცა მწერალთა ერთი ჯგუფი (მე მათ „შეთქმულებს" ვუწოდებ) შოთას თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების მოთხოვნით ცკ-ს მდივანთან შევიდნენ, თბილისში შემთხვევით მყოფი თუ საგანგებოდ ჩამოყვანილი ევტუშენკოც გაიყოლიეს. მაშინაც გვიკვირდა და ახლაც მიკვირს და მეცინება, რა შუაში იყო ევტუშენკო? რა უნდა ეთქვა შოთაზე? ჰოდა, სათქმელი რომ არაფერი ჰქონდა, ბრალდებად ის წაუყენებია, პრემიის მისაღებად მოსკოვში არ ჩამოვიდაო. ამის გამგონეთ თუ არ გაეცინათ, ნეტავი არ გაეღიმათ მაინც?

ნეტავი ევტუშენკო რომელი მათგანის ავტორიტეტს გამოიყენებდა მსგავს შემთხვევაში?

ვფიქრობ, ევტუშენკო იმიტომაც წაჰყვა ქართველ კოლეგებს, რომ ეტყობა, განაწყენებული იყო შოთაზე, რაკი მან უარი უთხრა „ოსოქოლოს ორმოს" თარგმნაზე. ალბათ ამიტომ არ უნდა მიკვირდეს მისი საქციელი – ის ხომ ქართველი პოეტების ნებიერი გახლდათ!

შოთას ერთადერთი ისეთი დანაშაული ჰქონდა, რასაც საქართველოში არავის აპატიებენ – ნიჭი.

მე მაინც ვფიქრობ, რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა დღეს ალბათ უწყის, რამდენად სწორი იყო გადაწყვეტილება, რომელიც მისმა ძველმა მეგობრებმა მიაღებინეს.

სხვათა შორის, ერთ-ერთი მისი მეგობარი წარამარა იღებდა მკერდზე დაკიდებულ ჯვარს და ერთგულებას ეფიცებოდა შოთას. შემდეგში რამდენიმე მწერალი ისეთი თავგამოდებით გვიმტკიცებდა, ეს შოთას საკეთილდღეოდ ჩავიდინეთ, ორგანიზაციულ საქმიანობას მაგისი შემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელი რომ არ შეეშალაო, რომ ლამის მადლობა გადაგვეხადა ასეთი „მზრუნველობისთვის".

შოთა მწერალთა იმ გუნდის მეგობარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ არც ბოღმიანი იყო და მათთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია.

შოთა არც გულს იმძიმებდა და არც გონებას იტვირთავდა ათასგვარი წვრილმანი ინტრიგებით. შოთასნაირ კაცს კი საქართველოში ინტრიგებს რა გამოულევდა.

1974 წელს შოთა წარადგინეს რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. ერთდროულად იყვნენ წარდგენილი ნოდარ დუმბაძე და შოთა. რაკი ორივე კანდიდატურა ღირსეულად მიაჩნდათ, ორი პრემია იქნა დაშვებული. ამდენად საეჭვო და, მით უმეტეს, სანერვიულო არაფერი იყო, მაგრამ პრემიის მინიჭების დროის მოახლოებისთანავე დაიწყეს რეკვა ტელეფონზე. რეკავდნენ ნაცნობები, რეკავდნენ უცნობები, შოთას წინააღმდეგ ხმებს აგროვებენ, კომისიის წევრები გადაიბირესო. გაოცებული ვიყავი, შოთას კი არ სჯეროდა. მინდოდა გაერკვია, რა ხდებოდა. ის კი ჯიუტად იმეორებდა, არაფერიც არ ხდება, ვიღაც-ვიღაცეები მაიმუნობენ და ნერვებს გიშლიანო. ბოლოს ერთი პოეტი გვეწვია შუაღამისას და შოთას შეუტია: შენ რა, გძინავსო? კომისიის ექვსი წევრი გაფრთხილებულია, ერთი ხმაღა აკლიათ და მორჩა, იცოდე, პრემიას ვერ მიიღებო. დიდი ყოყმანის შემდეგ, უფრო სწორად, ჩემი დაჟინებული თხოვნით ბატონ რევაზ ლაღიძეს შეხვდა, რადგან იმ ექვს წევრში ბატონი რევაზიც დაგვისახელეს. ბატონ რევაზს გაუცინია, კი ბატონო, გამაფრთხილეს, მაგრამ როგორ ფიქრობ, მასეთი კაცი ვაროო?

პირველმა ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ მოულოცა შოთას ეს მაღალი ჯილდო. მეორე თუ მესამე დღეს გურამ ფანჯიკიძემ შემოირბინა. იმ დღეს ჩამოსულიყო ქუთაისიდან, „განთიადის" პირველი ნომრები მოიტანა, რომელშიც შოთას ლექსებიც იყო დაბეჭდილი. შოთას ლაურეატობა მოულოცა და ჟურნალიც დალოცეს, აღდეგრძელეს და ფურცლებზე წითელი ღვინო მოასხეს.

რაკი ინტრიგები ვახსენე, რამდენიმე მეტად გულსატკენ ამბავს გავიხსენებ:

შოთას ძალიან უყვარდა გიორგი შატბერაშვილი. ასევე უყვარდა ბატონ გიორგის შოთა, სამამულე რქას ეძახდა. არცერთ მის ლექსს არ ტოვებდა უყურადღებოდ მხარზე ხელის თათუნით ამხნევებდა და აქებდა. ეტყობა, ვიღაცას შეშურდა იმათი ასეთი ურთიერთობა.

ერთხელ გაოცებული და შეწუხებული მოვიდა შოთა შინ: ბატონ გიორგის წიგნი ვაჩუქე, კარგა ხანს ეჭირა ხელში, თითქოს უკან დაბრუნება უნდოდაო, არც კი გადაუშლია, უჯრა გამოსწია და შიგ ჩააგდოო. ვიღას არ შესჩიოდა ამის გამო გულისტკივილს, თვითონ ბატონ გიორგის კი ვერა და ვერ შეჰბედა ეკითხა, რა მოხდა. კარგა ხანს თვალს არიდებდნენ ერთმანეთს. ალბათ, ბოლომდის უბრად დარჩებოდნენ, რომ არა მედეა კახიძე. მედიკომ გაარკვია, ვიღაცას რაღაც საოცარი ტყუილი შეუთხზავს და შხამად ჩაუწვეთებია ბატონი გიორგისთვის. მადლობა ღმერთს, ყველაფერს ნათელი მოეფინა და ის თბილი ურთიერთობა ბოლომდე შერჩათ.

მაჩაბლის ქუჩაზე კვლავ შევხვდით
ერთმანეთს,
ცოტა შევცბუნდი და წავხდი, ღმერთმანი!
მე ის სიცოცხლეში უთქმელად მიყვარდა,
უთქმელი, ალალი და თან მიამიტი.
— ბატონო გიორგი, ო, რა გამიხარდა,
ცოცხალი ყოფილხართ-მეთქი და ავტირდი.

* * *

შენი სიტყვა და საქმენი გვახსოვს,
სადმე ჭირია ან თუ ლხინია,
ჩვენო უთქმელო კეთილო კაცო,
გადაჩეხილო ჩვენო ღვინია.

ასეთი ტკივილით გაიხსენა შემდეგში შოთამ ამ წუთისოფელს გარიდებული ბატონი გიორგი შატბერაშვილი.

გულწრფელი, უანგარო სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია ასეთი სტრიქონების დაწერა:

### ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲡ

ჩვენ ორნიღა დავრჩით
მველი მეგობრები,
გამოვდივართ კარში,
ძმები ვეგონებით.
გვიკვირს, სასაცილოს სულ არაფერს
ვამბობთ
და სიცილით ვკვდებით სულ არაფრის გამო.
შუბლზე ფაფარივით ჩამოგშლია თმები,
ასე კარგი მსმელი ერთი ჭიქით თვრები?
თითქოს კაკალს ბერტყენ, თითქოს
სეტყვა გვირტყამს —
სკდება ბუმბა სიტყვა, ხვიფლიანი
სიტყვა...
როცა უჩემოდ ხარ, თითქოს იყო მარტო,
ამდენ მეგობრებში წრფელ საუბარს
ნატრობ.
უცებ ავარდები, აღარაფერს დასდევ,
ივლი,
ივლი,
ივლი,
და მომძებნი სადმე.
და ჩვენც, ბედნიერნი სხვათა მოშორებით,
მივკუნტრუშებთ, მივხტით, როგორც
ბოჩოლები...

მაშინ მუხრანი და შოთა ორმოცორმოცი წლისანი იყვნენ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ).

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ
ᲘᲮ. „ᲡᲠ" 63-71, 73, 75-77.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲠ" 63-71, 73, 75-77.

## ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ



### ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ერეკლეს ქუჩაზე გუშინ, „გაზაფხულის ფესტივალის" ფარგლებში, „მი-ფა-სის სალონის" წინ ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი გაიმართა.

როგორც „ინტერ-პრესს" ჯგუფ „ზუმბას" ხელმძღვანელმა ზაზა კორინთელმა განუცხადა, ფესტივალი მიმდინარე წლის მარტში დაარსდა და ყოველ შაბათს, თბილისის ძველ უბანში – ერეკლესა და შარდენის ქუჩაზე ახალგაზრდა მუსიკოსთა ცოცხალი შესრულებით კონცერტები ეწყობა.

„აქ მოდის ყველა მსურველი, ვინც ინსტრუმენტებზე დაკვრა იცის. ყველა სტუმარს ეძლევა საშუალება საკუთარი ნიჭი და შემოქმედება გააცნოს მაყურებელს," – აღნიშნა კორინთელმა.

მისი თქმით, მომავალში თბილისში ქუჩის ხელოვნების განვითარებაც არის დაგეგმილი.

### ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ - „ᲐᲭᲐᲠᲐ ᲛᲘᲣᲖᲘᲥ ᲰᲝᲚᲨᲘ"

ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ კომპლექსი „აჭარა მიუზიქ ჰოლი" გუშინ გერმანული მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ წარმომადგენელს Tolouse Low Trax-ს მასპინძლობდა.

ტექნო და ელექტრონულ მიქსს, რბილ და მძიმე ხმოვანების მაქსიმალურ კონტრასტს ეზიარნენ გუშინ თბილისელი მაყურებლები, რომელთა წინაშეც ჯგუფი როგორც დისკ-ჟოკეი და ელექტრონულ ჯგუფ „კრაიდლერის" ერთ-ერთი დამაარსებელი წარსდგა.

### ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐᲨᲘ შექმნილი სპეციალური კომისია რაიონის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მდგომარეობას შეისწავლის. კომისია გამგეობის, საკრებულოსა და კულტურის განყოფილების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

კომისია მოკვლეული მასალების დასკვნას კულტურის სამინისტროს წარუდგენს, რის შემდეგაც რაიონში არსებული მუზეუმების მხარდამჭერთა სახელმწიფო პროგრამა შემუშავდება.

თერჯოლაში სულ სამი ასეთი დაწესებულებაა – მხარეთმცოდნეობის მუზემი სოფელ ჩხარში, ცნობილი საოპერო მოღვაწეების პეტრე და შალვა ამირანაშვილების და დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმები.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲠ-ᲞᲠᲔᲡᲛᲐ.

[redacted]Ე, ᲔᲜᲐᲕ!

[redacted]ᲘᲥᲕᲐᲛᲡ,
[redacted]ᲝᲩᲛᲐᲮᲐᲕᲡ..."

Ა[redacted]ᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ
„[redacted]ᲔᲑᲘ"



[redacted]ᲕᲔᲚᲝᲡ
[redacted]ოის შეს-
[redacted]ო სავაჭრო ორგანი-
[redacted] არის ვთქვათ – „სახ-
[redacted]ას აწყობს" ან „მა-
[redacted]ურში აწყობს თავის
[redacted]ვენს მაგალითში კი,
[redacted]hfbdftn-ის პირდა-
[redacted]ართულების მაგიერ,
[redacted]რთულით შეიძლებო-
[redacted] საქართველოსთვის
[redacted]ა, ან საქართველოს
[redacted]).
[redacted]ის სახელმწიფოსა და
[redacted]ლმწიფოს შორის მოხ-
[redacted]ი (დაუჯერებელია,
[redacted]ი სისულელე „მოამ-
[redacted]ან წარმოსთქვა სტუ-
[redacted]ა, წამყვანს კი არც
[redacted]წორება...).

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Რ[redacted]ᲑᲚᲘᲙᲐ"!

# გაერო მზად არის, ჩაერიოს სუდანში მიმდინარე მოვლენებში

**გაეროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მზად არიან გაგზავნონ ექსპერტთა ჯგუფი სუდანში, რათა გამოიძიონ ამ ქვეყანაში ეთნიკური წმენდის, მასობრივ გაუპატიურებათა და მკვლელობათა ფაქტები.**

მაგრამ, როგორც გაეროს პრეს-მდივანმა ხოსე დიასმა აღნიშნა, სუდანის მთავრობას ჯერჯერობით არ დაურთავს ქვეყანაში ჩასვლის ნება გაეროს წარმომადგენლებისათვის.

ამავე დროს, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ ჰუმანიტარულ საკითხებში იან ეგელანდმა განაცხადა, რომ მკვლელობები სუდანის დარფურის რეგიონში დედამიწაზე ერთი ყველაზე სერიოზული კრიზისია.

სამართალდამცველთა მონაცემებით, სამოქალაქო ომს არაბ სახალხო მოლაშქრეებს და ადგილობრივ მცხოვრებთა ამბოხებულ რაზმებს შორის ახასიათებს ეთნიკური წმენდა და სისტემატური ძალადობა.

ეგელანდის თქმით, სუდანიდან ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მხეცური მოპყრობის შესახებ, მაგრამ საერთაშორისო გაერთიანებას ჯერჯერობით არ ძალუძს დაეხმაროს დარფურის მცხოვრებლებს.

მიმდინარე კვირას „Human Right watch“ საერთაშორისო სამართალდამცავმა ორგანიზაციამ სუდანის მთავრობას, რომელიც მხარს უჭერს არაბ სახალხო მოლაშქრეებს, ბრალი დასდო ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკის გამოყენებაში.

იან ეგელანდმა ეთნიკური წმენდა უწოდა მკვლელობებს, რომლებიც არ წყდება სუდანის დასავლეთ ნაწილში. როგორც მან თქვა, კვირაში საშუალოდ დარფურში იხოცება უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონში. ასი ათასობით კაცი აიყარა მშობლიური კერებიდან, მრავალმა მათგანმა თავი შეაფარა მეზობელ ჩადს. იან ეგელანდმა გაუსვა ხაზი ორგანიზებულ კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს მთელი რაიონების მცხოვრებლების იძულებით გადაადგილებას. ამასთან, უპატრონოდ მიტოვებულ სოფლებს ძარცვავენ და წვავენ, ანადგურებენ სურსათისა და სათესი მასალის დარჩენილ მარაგს.

ჰუმანიტარულ მისიათა მუშაკებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ გაჭირვებული ადამიანების მხოლოდ მესამედს, რადგან სუდანის მთავრობამ დააწესა შეზღუდვა ქვეყანაში გადაადგილებაზე. როგორც ეგელანდმა განაცხადა, მთავარი პასუხისმგებლობა ამ განუკითხაობისა და ძალადობისათვის ეკისრებათ ამბოხებულთა შეიარაღებულ რაზმებს. მაგრამ ის, რომ მთავრობა არ ჩქარობს აღკვეთოს ძალადობა, ეგელანდის აზრით, ნიშნავს, რომ თვით ქვეყნის ხელმძღვანელობაც დიდად არ ეწინააღმდეგება ამას.

„ჩემი კოლეგები სასოწარკვეთილი ადევნებენ თვალყურს, თუ როგორ ხოცავდნენ, აუპატიურებდნენ და სცემდნენ ადამიანებს. მაგრამ მათ მხოლოდ ის შეეძლოთ, რომ ყოველივე ამის შესახებ ეცნობებინათ ადგილობრივი პოლიციელებისა და სამხედროებისათვის. ეს უკანასკნელნი კი აცხადებდნენ, რომ არ შეეძლოთ ან არ სურდათ რაიმე მოემოქმედებინათ,“ – თქვა იან ეგელანდმა.



ეს კონფლიქტი დაიწყო ჯერ კიდევ შარშან, როცა ამბოხებულთა დაჯგუფებებმა მოითხოვეს მეტი უფლებები ქვეყნის არაარაბი მოსახლეობისათვის, რის პასუხადაც მთავრობამ დაიწყო აჯანყების ჩახშობა ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და არაბთა შეიარაღებული რაზმების მეშვეობით.

გაეროს უშიშროების საბჭო მიესალმა წინასწარი მოლაპარაკების დაწყებას სუდანის მთავრობასა და ამბოხებულებს შორის, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ჩადში. უშიშროების საბჭომ მოუწოდა ორივე მხარეს, შეწყვიტონ ძალადობა და მიაღწიონ ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას.

# დააპატიმრეს „ეტას“ ორი ხელმძღვანელი

**საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა „ეტას“ ხელმძღვანელობის ორი წევრი, მათ შორის ესპანეთისა და საფრანგეთისაგან ბასკების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ამ დაჯგუფების სამხედრო ხელმძღვანელი. ესპანეთის პოლიციამ ასევე აღმოაჩინა ბომბი მადრიდ-სევილიის მატარებლის სარკინიგზო ლიანდაგზე.**

ფელიქს ალბერტო ლოპეს დე ლაკაიე დააკავეს სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ანგულემის მახლობლად, იტყობინებოდნენ საფრანგეთის პოლიციის წყაროები. მასთან ერთად დააკავეს მისი მეგობარი ქალი – მერსედეს ჩივიტე ბერანგო, რომელიც, როგორც პოლიციელები ვარაუდობენ, ასევე „ეტას“ წევრი უნდა იყოს.

ლოპეს დე ლაკაიე ერთხელ უკვე იყო დაპატიმრებული, მაგრამ 2000 წელს, საფრანგეთში პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ, იგი გაიქცა ესპანეთში მისი ექსტრადიციის დროს. ამის შემდეგ, როგორც საფრანგეთისა და ესპანეთის ხელისუფლებას მიაჩნია, იგი კვლავ ხელმძღვანელობდა დაჯგუფების საქმიანობას.

„ეს ადამიანი ხელმძღვანელობს „ეტა“-ს მიერ განხორციელებულ ყველა აფეთქებასა და სხვა საბრძოლო ოპერაციებს. „ეტა“ არის არა პოლიტიკური, არამედ ტერორისტული ორგანიზაცია“, – განაცხადა ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ლოპეს დე ლაკაიე დაჯგუფებას სათავეში ჩაუდგა 1992 წელს. ესპანეთის პოლიცია მის სახელს უკავშირებს ბასკთა ამ ორგანიზაციის წევრების მიერ 1978-1980 წლებში განხორციელებულ 6 მკვლელობას.

პარასკევს, აგრეთვე, ცნობილი გახდა, რომ დააპატიმრეს ფელიქს




იგნასიო ესპარსა ლური, რომელიც პოლიციის მონაცემებით, უზრუნველყოფდა ასაფეთქებელი ნივთიერებისა და ავტომობილების შესყიდვას, აგრეთვე, აგებდა პასუხს საზღვარზე დაჯგუფების წევრების არალეგალურად გადასვლის ორგანიზებისთვის.

იგი დააკავეს სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ დაზის მახლობლად. ესპარსა ლური დააკავეს გაცილებით ფართომასშტაბიანი ოპერაციის ფარგლებში, რომელიც რეგიონში ხორციელდებოდა. ესპანეთის ხელისუფლება ამ ადამიანს ეძებს 7 კაცის მკვლელობასა და ერთი კაცის გატაცებაში მონაწილეობისათვის.

# ხანძრის გამო აზერბაიჯანში გაზის მიწოდება შეწყდა

**დაღესტანში მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ხანძრის გამო შეწყდა რუსეთიდან აზერბაიჯანში ბუნებრივი გაზის მიწოდება. ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ ეს, შესაძლოა, დივერსია იყოს.**



ინციდენტი მოხდა დაუსახლებელ ადგილზე, ამიტომ ხანძრის შედეგად არავინ დაზარალებულა.

დაზიანდა აგრეთვე გაზსადენის გვერდით გაყვანილი ნავთობსადენი, რომლითაც ნავთობი აზერბაიჯანიდან რუსეთს მიეწოდება.

იმის მიუხედავად, რომ აირის მიწოდება გადაკეტეს, მილებში დარჩენილი სათბობი მაინც იწვის, რის გამოც მეხანძრეები ვერ ბედავენ გაზსადენთან მიახლოვებას.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს სპეციალისტები ავარიის ძირითად ვერსიად ასახელებენ გაზის გაჟონვას შესაძლებელი პირაპირის დაზიანების გამო, თუმცა, არც ტერორისტულ აქტს ან დივერსიას გამორიცხავენ.

**ამერიკის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ქვეყანაში ჩასვლის ახალი წესები გაავრცელოს იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებზეც, რომლებიც ტრადიციულად ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებად ითვლებიან. ახალი წესების თანახმად, შეერთებულ შტატებში ჩასვლის ყველა მსურველი ვალდებული იქნება გადაიღოს ფოტოსურათი და ჩააბაროს თითის ანაბეჭდები.**

# თითის ანაბეჭდებს ყველას აყლებენ

ახალი წესები 30 სექტემბრიდან ამოქმედდება.

როგორც აშშ ოფიციალური წარმომადგენლები ამტკიცებენ, ასეთი სიახლე კიდევ ერთ დარტყმას მიაყენებს ტერორისტულ ორგანიზაციებს, თუმცა ვაშინგტონის მოწინააღმდეგეებმა შეერთებული შტატები უკვე დაადანაშაულეს ქსენოფობიაში.

მრავალი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში შემოღებული პრაქტიკის გავრცელება იმ 27 ქვეყნის მცხოვრებლებზე, რომლებიც ამერიკაში ჩასვლისათვის უვიზო რეჟიმით სარგებლობდნენ, ვაშინგტონში განმარტეს იმით, რომ ამ 27 სახელმწიფოთაგან ვერც ერთი ვერ მოასწრებს იანვრამდე ბიომეტრიული პასპორტების შემუშავებას და მათ დარიგებას ყველა მსურველისთვის.




თითოეულ ამ დოკუმენტში, ექსპერტთა მტკიცებით მათი გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია, დაფიქსირებული იქნება დაწვრილებითი მონაცემები პასპორტის მფლობელის შესახებ.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ უკვე აღიარა, რომ მომავალი წლის ივნისამდე, ვერ შეძლებს საკმარისი რაოდენობის ბიომეტრიული პასპორტების გამოშვებას.

# აფეთქებები ბალის კუნძულზე ბენ-ლადენის ბრძანებით მოხდა?

**დაჯგუფების წევრებმა, რომლებმაც განახორციელეს აფეთქებები ინდონეზიის ბალის კუნძულზე, განაცხადეს, რომ დაჯგუფების ხელმძღვანელებმა ასეთი დავალება მიიღეს უსამა ბენ ლადენისგან.**

მოჰამედ ნასირ აბასმა მალაიზიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ „ალ-ყაიდას“ ლიდერის ბრძანება ჯგუფის წევრებს გადასცა ისლამისტმა მღვდელმსახურმა აბუ ბაქარ ბაშირმა, რომელსაც იგი „ჯემაა ისლამიის“ დაჯგუფების ამირას უწოდებს.

ბაშირი, რომელიც აპრილში უნდა გაეთავისუფლებინათ ინდონეზიის საპყრობილიდან, უარყოფს, რომ იგი მეთაურობდა დაჯგუფებას.

ინტერვიუში მონაწილეობდა მალაიზიის კიდევ სამი სხვა მოქალაქე, რომლებიც ასევე ინდონეზიის საპყრობილეში იხდიან სასჯელს ტერორისტული საქმიანობის გამო.

აბასმა განაცხადა, რომ დაჯგუფების წევრებმა მიიღეს ბენ ლადენისგან ედიქტი, რომლითაც „ალ-ყაიდას“ ლიდერი მოუწოდებდა დაჯგუფების წევრებს, ეძიათ შური ამერიკელებზე. ბენ ლადენი დაჯგუფების წევრებს რთავდა მშვიდობიანი მცხოვრებლების, ქალების, ბავშვების, მოხუცების დახოცვის ნებას.

მეორე მალაიზიელმა პატიმარმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ მან დაიქირავა ორი ამფეთქებელი, რომლებსაც ამჟამად ეძებენ ბალის კუნძულზე და ჯაკარტაში განხორციელებული აფეთქებების გამო. მესამე მალაიზიელმა პატიმარმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ იგი დაჯგუფების წევრებს დაეხმარა ასაფეთქებელი მოწყობილობის შოვნაში, რომლებმაც 2000 წლის შობის დღესასწაულზე ეკლესიებში განახორციელეს ტერორისტული აქტები.

თუმცა ბაშირმა, რომელმაც ციხის საკნიდან ტელეფონით მიიღო მონაწილეობა ინტერვიუში, განაცხადა რომ ეს პირები, რომლებმაც აღიარეს დანაშაული, როგორც ჩანს, მანამდე აწამეს პოლიციელებმა. ბაშირის ამ მოსაზრებას ზოგიერთი სამართალდამცავი ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. თვით სატელევიზიო პროგრამაც კარგად დადგმული სპექტაკლის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა.



# ელიან თავდასხმებს მატარებლებსა და რკინიგზის ვაგზლებზე

**ამერიკის შეერთებული შტატების შინაგანი უშიშროების სამინისტრო აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ამერიკის დიდ ქალაქებში შესაძლოა განხორციელდეს ტერორისტული აქტები ავტობუსისა და რკინიგზის მარშრუტებზე.**



შინაგანი უშიშროების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ასეთ ზომებს მიმართავენ მადრიდში ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელებული ტერორისტული აქტების გამო. თუმცა ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე არაორაზროვნად აცხადებს, რომ ასეთი გაფრთხილება, შესაძლოა გამოწვეული იყოს კონკრეტული მუქარის შედეგად.

სამინისტროს გაფრთხილებაში ხაზგასმულია, რომ ტერორისტთა გეგმა (თუ იგი სინამდვილეში მართლაც არსებობს) მიზნად ისახავს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებას, რომლებიც შესაძლოა ჩამალული იყოს როგორც დიდ ბარგში, ისე ტურისტულ ზურგჩანთებსა და ხელბარგში. სამინისტრო მოუწოდებს სატრანსპორტო უწყების ხელმძღვანელებს, უფრო მკაცრად შეამოწმონ ტრანსპორტის მუშაკები, რადგან არის იმის საფრთხე, რომ ტერორისტებმა შესაძლოა, გამოიყენონ რკინიგზელთა ფორმის ტანსაცმელი, ყალბი პირადობის მოწმობები და სხვა. ასეთი გზით, ისინი შეძლებენ შეღწევას იმ ზონებში, სადაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს ეკრძალებათ შესვლა.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

## არბიტრი

# 30 წლის შემდეგ: ჰაპარანდადან — ჰაპარანდამდე

**მსაჯმა-ინფორმატორმა მორიგ წყვილს უხმო ხალიჩაზე. მისი სახელის გაგონება და დარბაზის აგუგუნება ერთი იყო. არენაზე გამოჩნდა თუ არა, იქუხა ტაშმა და ლამის დაინგრა ტრიბუნები...**



ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებული, მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ჰამზა იერლიქაია თურქი ფანების კერპია, სტამბოლში მისი ძეგლი დგას.

თავის ჯილას ესალმებიან ქომაგები და მისგან ახალ წარმატებას ელიან...

ჩემპიონი ჯიქურ ეკვეთა მეტოქეს, მაგრამ პოლონელიც მედგრად დაუხვდა. წუთით და „ლურჯი“ ჩოქბჯენით დაისაჯა. უკმაყოფილო დარბაზმა გუგუნს უმატა. წესით, ახლა „წითლის“ გაფრთხილების ჯერია, მსაჯმა კი ისევ „ლურჯისკენ“ გაიშვირა ხელი. მაყურებელთა ღრიანცელს ბოლო არ უჩანს. ყირაზე გადადიან ფანები — ჯილას დაჩაგვრას არავის აპატიებენ...

სურათი შეტრიალდა, ახლა უკვე პოლონელის ჩოქბჯენში. ჰამზამ იგი ხალიჩიდან აიტაცა და... ოვაცია მოსწყდა ტრიბუნებს.

— ხუთი ქულა... ხუთი ქულა... იჭაჭება დარბაზი. არბიტრი კი მშვიდად დგას და ფანდს არ უთვლის მასპინძელს. ჭიდაობა გაჩერდა. გაავებულმა მწვრთნელმა ვიდეოჩანაწერის ნახვა მოითხოვა. მსაჯი მართალია. თურქმა ილეთის ჩატარებისას ფეხიც მოიშველია. წესით ეს აკრძალულია...

გონგის ხმაზე ორთაბრძოლაც დამთავრდა. ხალიჩის შუაგულში ხელებაწეული იერლიქაია დგას. როკავს დარბაზი, გამარჯვებას ზეიმობს.

ზრდილი ყმაწვილია ჰამზა. მორიდებული, უფროს-უმცროსობის მცოდნე. ახლა კი აშკარად ემჩნევა უკმაყოფილება და თავს ვერ ერევა. მასთან მისულ არბიტრს ფეხზე არ წამოუდგა. უწინ ასე არ მოიქცეოდა.

— შენ თურქებისთვის ლეგენდა ხარ. გინდოდა, დაგხმარებოდი, რომ შემდეგ ფანებს ეფიქრათ, სხვა შეჯიბრებებზეც არბიტრები სწყალობენ? — უკმეხად მიახალა უცხოელმა ყმაწვილს.

ჰამზამ ქვემოდან ამოხედა სტუმარს, გაუღიმა, მარდად წამოხტა და გადაეხვია...

ეს მოხდა 2001 წელს სტამბოლში ევროპის ჩემპიონატზე. ის უცხოელი არბიტრი თბილისელი **ედიშერ მაჩაიძე** გახლდათ...

ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად სპორტსმენებთან ერთად იბრძვიან... მსაჯებიც. ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლში ვისი გარჯა დაფასდება, ეს სულ მალე გაირკვევა შვედეთში, სადაც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ფილას 60 რჩეულ არბიტრთა სიაში მოხვედრის რეალური კანდიდატია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი, ექსტრა კატეგორიის არბიტრი, თბილისის განათლების განყოფილების უფროსი ედიშერ მაჩაიძე.

დაიბადა 1956 წლის 12 ივლისს თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ამავე უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურა. 1991 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1988 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი პედაგოგი-ორგანიზატორის კვალიფიკაციით, ხოლო 1999 წელს — „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი.

ჭიდაობა 1969 წელს დაიწყო გურამ დათიაშვილის ხელმძღვანელობით, 1972-1973 წლებში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადების გამარჯვებულია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 1973-1974,1976 წლებში საკავშირო პირველობები მოიგო ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ორჯერ (1973 და 1976 წ.წ.) საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა საქართველოს ნაკრებთან ერთად. 1974 წელს ევროპელ თანატოლებთან პაექრობაში მეორე ადგილი დაიკავა. ასევე მეორე იყო 1975 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე, მომდევნო წელს კი ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

1980 წლიდან აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იყო საქართველოს სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი, ჭიდაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საკავშირო სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი საქართველოში, ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის დირექტორი, თბილისის მერიის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, 2000 წლიდან თბილისის განათლების განყოფილების უფროსია. 1988 წელს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის, ხოლო 1996 წელს — ექსტრა კატეგორიის არბიტრის წოდება. 22 წელიწადია, პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და პედაგოგი. სულ მალე სადოქტორო დისერტაციას დაიცავს. დაარსებიდან ხელმძღვანელობს პოლიტიკურ ორგანიზაციას — „საქართველოს სპორსტმენთა კავშირს“, არის საქართველოს სპორტსმენთა დახმარებისა და სოციალური დაცვის ფონდის პრეზიდენტი, „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტ „ფანასკერტელის“ პრორექტორი, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

ჰყავს მეუღლე — თეა გვიმრაძე და სტუდენტი ქალ-ვაჟი — ნინო და ნიკოლოზი.

**ის. მე-9 გვ.**

## ძიუდო

# პირველ დღეს — მხოლოდ „ბრინჯაო“



გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ძიუდოისტთა „ა“ კატეგორიის 31-ე სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 32 ქვეყნის 150 სპორტსმენი მონაწილეობს. მათ შორის, 28 — საქართველოდან. შარშან ჩვენმა მოჭიდავეებმა 30-ე საიუბილეო ტურნირზე ხუთ წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს, წლეულს მსგავს შედეგს ვერ გავიმეორებთ, რადგან ქვეყნების უმეტესობა უძლიერესი შემადგენლობებით არის ჩამოსული, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა კი ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მქონე ხუთი სპორტსმენი გარკვეული მიზეზების გამო დაასვენა. ჩვენმა ახალგაზრდა ათლეტებმა უცხოელ მეტოქეებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მხოლოდ დავით ბოდაველმა (173 კგ.) შეძლო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა. მან გადამწყვეტი ორთაბრძოლა ერევნელ ევროპის პრიზიორ ლევონ გალსტიანს „იპონით“ მოუგო. ასევე მესამე იყო ფრანგი ალან შმიდტი. ამ წონაში პოლონელი კშიშტოფ ვილკომირსკი გახდა ტურნირის ჩემპიონი. მან შვეიცარიელ დევიდ პაპაიუქსს სძლია ქულებით.

სარეკორდო დროში — 9 წამში მოიპოვა ოქროს მედალი ყოფილმა თბილისელმა რევაზ ძიძირიძისმა (60 კგ.), რომელიც ამჟამად საბერძნეთის სპორტულ ღირსებას იცავს. მან „იპონით“ დაამარცხა აზერბაიჯანელი ნიჯათ სულთანოვი. მესამე ადგილებზე გავიდნენ გალ იექუთიელი (ისრაელი) და რუბენ ჰოუქსი (ჰოლანდია).

66 კგ. წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. იეჰუდ ვაკსი (ისრაელი), 2. ბექთაშ დემირელი (თურქეთი), 3. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) და ჯავლერ დელგადო (ესპანეთი).

დღეს 81, 90, 100 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში გამოვლინდებიან პრიზიორები. შეჯიბრება 11 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა.

**გიორგი გაგუა.**

**სურათებზე: რევაზ ძიძირიძისი; დავით ბოდაველი ჭიდაობისას.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



## ფეხბურთი

# ტაიმიანი «თბილისობა»

თბილისის „დინამოდან“ ერთბაშად 5 (!) წამყვანი მოთამაშის წასვლამ ასახვა შედეგებზეც ჰპოვა — მეორე ეტაპის დაწყებიდან გუნდს ჯერ ერთი თამაშიც არ მოუგია, რამაც საშუალება მისცა ბოლნისის „სიონს“ დასწეოდა ეროვნული ჩემპიონატების მუდმივ ფავორიტს.



ივო შუშაკის შეგირდთა გუშინდელი მეტოქე „თბილისი“ კი, პირიქით, თანდათან იკრებს ძალებს, რასაც ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასვლა და ჩემპიონატის წინა ტურში ამბიციური „ვიტ ჯორჯიასთან“ მოპოვებული გამარჯვება ადასტურებს.

„დინამო“ — „თბილისი“ 2:2 (0:2).

**გოლები:** ოდიკაძე, მესხი („თბილისი“); ნემსაძე (პენალტით), ახალაია („დინამო“).

შესვენებამდე განვითარებული მოვლენების ხასიათი სრულად შეესაბამებოდა მეტოქეთა ამჟამინდელ მდგომარეობას — „სტუმრები“ ზედიზედ ანვითარებდნენ სწრაფ იერიშებს და კარგად სარგებლობდნენ დინამოელთა დაცვაში გამეფებული ქაოსით. მათი ტაქტიკური სქემისათვის ზიანი არც შეხვედრის დასაწყისში განხორციელებულ იძულებით შეცვლას მოუტანია, როცა მეკარე გვარამაძესთან შეჯახებისას დაშავებული მიკუჩაძე ჭელიძემ შეცვალა. ასე რომ, I ტაიმის შედეგი სავსებით ლოგიკურად გამოიყურებოდა.

ვერ გეტყვით, როგორ დამოძღვრა თავისი ბიჭები გასახდელში ხორვატმა მწვრთნელმა, მაგრამ ბრძოლის განახლებისთანავე რომ ჩემპიონი თავის თავს დაემსგავსა, ფაქტია. ეს, უპირველესად, ნახევარდაცვაზე ითქმის, რომელმაც საფუძვლიანად იგდო ხელთ მატჩის სადავეები და პარტნიორებს ქულა გადაარჩენინა.

**დანარჩენი შედეგები:** I-VI ადგილები — „ლოკომოტივი“ — „სიონი“ 0:1 (გოლი — შენგელია, 89-ე წუთი), „ვიტ ჯორჯია“ — „დილა“ 3:0.

VII-XII ადგილები — „მცხეთა“ — „ტორპედო“ 1:1, „ბათუმი“ — „მერცხალი“ 2:1, „კოლხეთი“ — „სპარტაკი“ 0:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** I-VI ადგილები — „დინამო“, „სიონი“ — 27-27, „ვიტ ჯორჯია“ — 25, „თბილისი“ — 23, „ლოკომოტივი“, „დილა“ — 19-19 ქულა.

VII-XII ადგილები: „ტორპედო“ — 24, „ბათუმი“ — 19, „მცხეთა“, „კოლხეთი“ — 15-15, „მერცხალი“, „სპარტაკი“ — 9-9 ქულა.

შემდეგ ტურში 10 აპრილს ითამაშებენ: „დილა“ — „სიონი“, „თბილისი“ — „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“; „მერცხალი“ — „სპარტაკი“, „ტორპედო“ — „კოლხეთი“, „ბათუმი“ — „მცხეთა“.

**გია პლატონიშვილი.**

## კალათბურთი

# უტეხი სული

ფსიქოლოგიური სიმტკიცისა და ოსტატობის სინთეზი — ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ იმ წარმატების შემადგენელ კომპონენტთა ერთობლიობა, რომელიც ჩვენმა თანამემამულეებმა ხორვატეთის ქალაქ სისაკში მიმდინარე ჭაბუკ კალათბურთელთა „ევრო-2004“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის მეორე ტურში მასპინძლებთან მოიპოვეს — 79:75.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები სტარტზე თანაბარი ბრძოლის ბოლო წუთებზე იტალიელებთან დამარცხდა. ასე რომ, ადვილი მისახვედრია, როგორი მძიმე შეხვედრა ელოდა მას ასპარეზობის ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენლებთან. ბიჭებისა და მწვრთნელების — თამაზ ოქრუაშვილისა და დავით უსტიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდებულად გაართვეს თავი ურთულეს ამოცანას. განსაკუთრებულ ქებას მარკოიშვილი (31 ქულა) და სანიკიძე (20 ქულა) იმსახურებენ.



გუშინდელი მატჩი ჩვენმა გუნდმა სამი ქულით ფინელებს მოუგო და დღეს ლატვიელებს ეთამაშება, ხოლო ხვალ მისი ბოლო მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იქნება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

შთამომავლობა

# „მტკვრისპირელი გარინჩას“ სკოლაში

**„არც გარინჩა ვარ,
არც პელე, არც მოყმე
ვეფხის ნატორი, ვარ
ვინმე მესხი მელექსე,
ბურთის პოემის ავტორი“.**

**ზაურ ბოლქვაძე.**

**60-იანი წლების სპორტული ჟურნალისტი ალექსანდრე ვიტი (ვიტენბერგი) თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში წერდა: „საბჭოთა გარინჩა“ ნევის ნაპირებზე კი არა, მტკვრის ნაპირებზე უნდა ვეძებოთ“... მას შემდეგ 4 ათეულ წელზე მეტმა განვლო. სწორედ აქ, დიღომში, მტკვრის პირას მოქმედებს მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზა“, რომლის კედელზე XX საუკუნის ლეგენდარული ფეხბურთელის მიხეილ მესხის პატარა ბარელიეფია ამოტვიფრული, ხოლო მომავალ ოსტატთა სამჭედლო სწორედ მის სახელს ატარებს. კარებში, „მტკვრისპირელ გარინჩად“ შერაცხული მარცხენა გარემარბის 27 წლის ვაჟი, ამ სასწავლებლის ახლადდანიშნული დირექტორი მამუკა მესხი გვეგებება. გთავაზობთ მასთან საუბარს.**

***— თუ არ ვცდები, ახლო წარსულში თქვენს სკოლას ოლიმპიური მომზადების ცენტრი უწევდა მზრუნველობას. როგორც ვხედავ, მდგომარეობა შეიცვალა...***

— 2003 წლის სექტემბრიდან „ავაზას“ საფეხბურთო სკოლა, რომელშიც ოსტატობას ყველა ასაკის 300-მდე ჭაბუკი იმაღლებს, კვლავ გამოეყო ოლიმპიური მომზადების ცენტრს და დამოუკიდებლად განაგრძობს საქმიანობას. არ შეიძლება დავივიწყო ოლიმპიური მომზადების ცენტრის ხელმძღვანელთა, პირადად მისი დირექტორის გიორგი უდესიანისა და მოადგილის ვახტანგ ფოცხიშვილის მზრუნველობა, რომელიც მათ ჩვენს მიმართ გამოიჩინეს. შარშანდელ თბილისობის დღესასწაულზე ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ „ავაზას“ შესაბამისი თანხები გამოუყო, რამაც საშუალება მოგვცა, კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები ჩაგვეტარებინა.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ ყველა პრობლემა მოაგვარეთ?***

— რა თქმა უნდა, არა. მთლიანად მოსაწესრიგებელია სათამაშო მინდვრები. ახლა, როცა გაზაფხულის წვიმები გახშირდება, მოედნები დაიტბორება. მოსაწესრიგებელია ჭაბუკთა გასახდელები, მწვრთნელთა ოთახები, საშხაპეები და სხვა სათავსოები.

***— თუ არ ვცდები, თქვენს სკოლაში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები დაოსტატდნენ. საინტერესოა, ვინ არიან ისინი და რაიმე კავშირი თუ აქვთ „ავაზას“ სპორტულ სკოლასთან?***

— „ავაზას“ მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ათობით ცნობილმა ტყავის ბურთის ოსტატმა აიდგა ფეხი, ისეთებმა, როგორებიც არიან ლევან კობიაშვილი, ვაჟა ქვანია, ლევან ცქიტიშვილი, დავით გვარამაძე. აქ დაიწყეს ვარჯიში ძმებმა არჩილ და შოთა არველაძეებმა, რომლებმაც შემდგომ წვრთნა „ნორჩ დინამოელში“ განაგრძეს. რამდენიმე მათგანი უცხოურ კლუბებში გამოდის, ხოლო როცა ეროვნული ნაკრები „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადება მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისათვის, ზოგი მათგანი მოკლე დროით ესტუმრება ხოლმე საყვარელ სკოლას. ნორჩი ავაზელები მათ აღტაცებით ხვდებიან და ავტოგრაფებს სთხოვენ. ასეთი ვიზიტი დიდად ეხმარებათ „ავაზას“ ცნობილ მწვრთნელებს: ვილი გოგიჩაძეს, ნუგზარ ჩიტაურს, რომა მელიქიძეს, ანზორ ზუკაკიშვილსა და სხვებს.



**მამუკა მესხი ნორჩ ფეხბურთელებს ესაუბრება „მტკვრისპირელი გარინჩას“ შესახებ.**

***— თქვენი მამის შესახებ საკმაოდ ბევრი წიგნი და საინტერესო მასალებია დასტამბული, თუ იციან სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა, ვინ იყო „მტკვრისპირელი გარინჩა“ — მიხეილ მესხი, რომლის მსგავსი პიროვნება, ალბათ, საუკუნეში ერთხელ იბადება?***

— მამის სამუშაო ოთახში საინტერესო გამოფენა მოვაწყვეთ, სადაც გამოფენილია ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები, წიგნები, ფოტოსურათები, რომლებიც მიშა მესხის ხანმოკლე ცხოვრებას ეძღვნება. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ვეტერანი სპორტული ჟურნალისტის, ბატონ შალვა ქირიას საკმაოდ დიდტანიანი და ჩინებული ქართულით დაწერილი წიგნი — „ვარდები მიხეილ მესხისათვის“. ეს ნაწარმოები ზედმიწევნით, დეტალებში ასახავს მამაჩემის ცხოვრების თითოეულ ფაქტს. 2004 წლის 12 იანვარს, მიშას დაბადების დღეს აღნიშნულმა ჟურნალისტმა თავის კერპს 30-წუთიანი გადაცემა მიუძღვნა მე-9 არხის დილის ეთერში. სიუჟეტი აღნიშნულმა არხმა რამდენჯერმე გაიმეორა.

***— დედაქალაქში ხშირად იმართება გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა გუნდების ტურნირები. „ავაზას“ სპორტული სკოლა ხომ არ აპირებს მამა-შვილი მესხების მემორიალის გამართვას?***

— დღეს ყველაფერი ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სკოლის ხელმძღვანელობასაც უჭირს. მიუხედავად ამისა, აპრილის მესამე დეკადაში განზრახული გვაქვს მაღალ დონეზე მოვაწყოთ ორივე მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი, 1992 წელს დაბადებულ ბავშვთა კლუბების ტურნირი, რომელსაც ქართული ტელეარხები და მასმედია გააშუქებენ. გამარჯვებული გუნდები და ცალკეული ფეხბურთელები პრიზებითა და წიგნებით დაჯილდოვდებიან.

**ესაუბრა**
**შალვა ჩიხლაძე.**
**რობერტ ბაგოიანისა და ავტორის არქივის ფოტოები.**





**ასე თამაშობდნენ მიხეილ მესხი (მამა) და უმცროსი მიხეილი.**

ახლო წარსული

# „ბაგიოში ჩემზე თავდასხმა მზადდებოდა“

**ამის თაობაზე ცოტა ვინმემ თუ იცის: როცა ემიგრანტი და „გარეწარი“ ვიქტორ კორჩნოი 1981 წელს, მერანოში, ანატოლი კარპოვთან მატჩში იბრძოდა, „მოღალატის“ ვაჟი მძევლად ჰყავდათ საბჭოურ საპატიმროში, „გარეწარს“ მაშინ მთელი საბჭოთა მანქანა დაუპირისპირდა.**

**პირველ აპრილს (მოტყუება არ გეგონოთ!), დიდოსტატი მრავალი წლის შემდეგ ჩავიდა რუსეთში. ვიზიტის წინ მას რუსეთული ჟურნალის, „სპიდინფოს“ კორესპონდენტმა დაურეკა.**

***— ვიქტორ ლვოვიჩ, სამშობლო როცა დატოვეთ, ლენინგრადში ცოლი ბელა და ვაჟი იგორი დაგრჩათ...***

— ექვსი წელი ვიბრძოდი, საზღვარგარეთ რომ გამოეშვათ და როცა, ბოლოსდაბოლოს ბელამ გამოაღწია, ჩვენ გავიყარენით. რამდენიმე წელია, რაც გარდაიცვალა.

***— თქვენი წასვლის გამო იგორი ციხეში მოხვდა. თავს არ გრძნობდით დამნაშავედ?***

— უცხოეთიდან რომ აღარ დავბრუნდი, მალე ჩემი შვილი ინსტიტუტიდან გარიცხეს და ჯარში გაიწვიეს. იგორმა კატეგორიული უარი განაცხადა სამხედრო სამსახურზე და ორნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მერანოში კარპოვთან ჩემი მატჩის დროს სატუსაღოში იჯდა. ასეთ სადისტურ ვითარებაში ჭადრაკის თამაში შეიძლებოდა?

ყოველნაირად ვიბრძოდი საზღვარგარეთ ცოლ-შვილის გამოსაშვებად. უამრავ ცნობილ პიროვნებას მივმართე: პარლამენტარებს, პრეზიდენტებს — მთელ მსოფლიოში. ბრეჟნევს ათამდე პეტიცია გავუგზავნე. ჩემები მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ გამოემგზავრნენ, 1982-ში, კარპოვთან მეორე მატჩის წაგებისთანავე... სხვათა შორის, ბრეჟნევი, მომძლავრებული მარაზმის მიუხედავად, როგორც მითხრეს, დღეში რამდენჯერმე იკითხავდა თურმე: „აბა, რას შვრება იქ ჩვენი ტოლიკა?“

***— ახლანდელი თქვენი მეუღლე, პეტრა, „გულაგის“ ტყვე იყო?***

— ათი წელი იჯდა ვორკუტასთან. ვენაში დაიბადა, აღმოსავლეთ გერმანიაში სწავლობდა, მერე სამშობლოში, ავსტრიაში წავიდა და იქ, ლინცში შეიპყრეს, წაიყვანეს და გაუსამართლებლად უკრეს თავი ბანაკში. ოცი წელი მიუსაჯეს. ოღონდ შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვმა დასავლეთ გერმანიასთან დიპლომატიური კავშირის დამყარება გადაწყვიტა, კანცლერმა ადენაუერმა მას ყველას გამოშვება მოსთხოვა ბანაკებიდან, ვინც კი გერმანულად ლაპარაკობდა. ამრიგად, პეტრას ორჯერ ნაკლებ ხანს მოუწია ჯდომა.

***— ერთმანეთი როგორღა გაიცანით?***

— ერთდროული თამაშის სეანსზე. მონაწილეთა შორის იყო ერთი მიმზიდველი მანდილოსანი, რომლის დაფასთან ტოლსტოის „აღდგომა“ იდო. მერე არაერთხელ შევხვდი სხვა სეანსებში და ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ყველა მოწინააღმდეგე უკვე დამნებდა, ერთი პეტრა ლევერიკი დარჩა. მაშინ ავდექი და შევთავაზე — პარტია შინ დავასრულოთ-მეთქი. ეს „შინ“ საერთო გახდა...

***— თქვენი ცოლები, რასაკვირველია, სხვადასხვა ბედისანი ყოფილან, მაგრამ სსრ კავშირში არც ბელას ულხინდა, თქვენი დაუბრუნებლობის შედეგად...***

— ვეხმარებოდი, როგორც შემეძლო... ჩვენ ჯიშიანი ძუკნა გვყავდა. მატერიალურად რომ გაუჭირდა, ბელამ ერთი ლეკვის მყიდველი იშოვა. რამდენიმე დღეში კი უკან მოჰგვარეს და ფულის დაბრუნება მოსთხოვეს — „არ გვინდა ხალხის მტრის ძაღლიო!“..

ბელასთან ერთი „მოჭადრაკო“ ინციდენტიცაა დაკავშირებული. 1960 წელს, ლაიფციგში, საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვებული საბჭოთა გუნდი ჩემპიონობას ზეიმობდა. მიხეილ ბოტვინიკი, მაშინდელი მთავარი ფიგურა ჭადრაკში, მომიახლოვდა და მეუბნება: „ვიქტორ, მოდით, დავლიოთ. ეს კარგად შენახული სომხური კონიაკია. თქვენი ცოლივით“ (ბელა სომეხი იყო). უმალვე მივახალე: „ჰო, ეს ძველი სომხური კონიაკია. თქვენი ცოლივით“ (ბოტვინიკის მეუღლეც სომეხი გახლდათ). პატრიარქი გააოგნა ასეთმა კადნიერმა პასუხმა და მეც იქვე მოვუბოდიშე. „სომხური“ ინციდენტი ამით ამოვწურეთ.



***— არ ისურვებდით სამშობლოში სულ დაბრუნებას?***

— არა, რუსეთში ცხოვრების დონე ერთობ დაბალია. საბჭოთა კავშირიდან წასვლით სიცოცხლე ათი თუ ოცი წლით გავიხანგრძლივე. ყველა, ვისთანაც ახლოს ვიყავი, უკვე გარდაცვლილია. ბევრი მეგობრის სიკვდილს მოვესწარი. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ნამდვილ დემოკრატიამდე თქვენ კიდევ ბევრი გიკლიათ.

***— მაინც, რატომ ვერ შეძელით ბაგიოში მსოფლიოს ჩემპიონობა მოგეპოვებინათ? ორთაბრძოლის ფინიშზე ზედიზედ სამი პარტიის მოგებით ხომ კარპოვს ანგარიში გაუთანაბრეთ, ფსიქოლოგიურად კი შესამჩნევი უპირატესობაც მოიპოვეთ...***

— იქ, ბრძოლის დამთავრების შემდეგ, პეტრამ ცად აღაპყრო ხელები და იკითხა, რატომ არ მარგუნა ღმერთმა მატჩში გამარჯვება! ეს 1978-ში ხდებოდა, პასუხი კი 1990-ში მივიღე. იუგოსლავიაში საჭადრაკო ოლიმპიადის დროს მიხეილ ტალს შევხვდი და ვუსაყვედურე კარპოვთან ჩემი მატჩების დროს საბჭოელთა უღირსი ქცევის გამო. ტალი უხალისოდ იცავდა თავს, მერე კი უცბად მითხრა: „იქ, ბაგიოში, ყველას გვეშინოდა თქვენს გამო. თქვენ რომ მოგეგოთ, ფიზიკურად მოგსპობდნენ. საამისოდ ყველაფერი მზად იყო“. როგორც ხედავთ, ღმერთმა ინება, რომ კიდევ მეცოცხლა...

**მოამზადა**
**თამაზ ილმელმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## არბიტრი

# 30 წლის შემდეგ: ჰაპარანდადან — ჰაპარანდამდე

(მეშვიდე გვერდიდან)

როგორც ვხედავთ, ბატონი ედიშერი მრავალმხრივი მოღვაწე გახლავთ, ყველა საქმეს დროულად და ხარისხიანად ასრულებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ჭიდაობას აქცევს.

— ხალიჩაზე პირველად 13 წლისამ შევდგი ფეხი, — იხსენებს ბატონი ედიშერი, — ბიძაჩემი სულიკო სხირტლაძე 50-იანი წლების ცნობილი ფალავანი იყო, საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი. სწორედ მისი რჩევით მივაკითხე „დინამოს“ საჭიდაო დარბაზს.

არადა, მანამდე ორთაჭალის აუზში თანატოლებს ეჯიბრებოდა ცურვაში, ცნობილ ქორეოგრაფ ფრიდონ სულაბერიძესთან ქართული ცეკვების საიდუმლოებებს ეცნობოდა, მოგვიანებით მუსიკალური ათწლედიც დაამთავრა წარჩინებით, მაგრამ მაინც ჭიდაობის სიყვარულმა გადაძალა.

— თექვსმეტი წლისამ საქართველოს ჩემპიონობა რომ მოვიპოვე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პირველ დიდ გამარჯვებას მაინც 1973 წელს მივაღწიე. იმ წელიწადს კლაიპედაში ჭაბუკებში საკავშირო პირველობა მოვიგე, ხოლო ჩელიაბინსკში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის თასს დავეუფლე. მაშინ ჩვენს გუნდში გამოდიოდნენ ისეთი სახელოვანი ფალავნები, როგორებიც იყვნენ ჩალაური, გიგოლაშვილი, მაჭარაშვილი, მეგრელიშვილი, ლეკვეიშვილი, ჭელიძე, ლექავა, მაჭავარიანი, ბლიაძე, გოგლიჩიძე, მორჩილაძე, ახალგაზრდებიდან — სალაძე, აფხაზავა, აბრამიშვილი, მაისურაძე.

მაშინდელ გამარჯვებაში მეც მიმიძღვის წვლილი, მართალია, ნეკნი მქონდა დაზიანებული, მაგრამ სახელმწიფო მწვრთნელის — ვლადიმერ კანკავას დაჟინებული თხოვნით მაინც გავედი ხალიჩაზე. რუს მეტოქეს სუფთად მოვუგე.

ჩემთვის არანაკლებ წარმატებული გამოდგა 1974 წელიც. ახალგაზრდების საკავშირო პირველობის ფინალში პოდდუბნის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს, ერევნელ არსენ კოტიკიანს ვძლიე 7:2, არადა, ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ის უნდა წასულიყო. საწვრთნელ შეკრებაზეც დამაჭიდეს ერევნელ ფალავანს და იქაც დავამარცხე 8:2, ევროპის პირველობას შვედეთის ქალაქმა ჰაპარანდამ უმასპინძლა. სხვათა შორის, ახლა აპრილში სწორედ ამ ქალაქში გაიმართება „კლასიკოსთა“ ევროპის ჩემპიონატი და იქ გაირკვევა ათენში წამსვლელი 60 მსაჯის ვინაობაც. 30 წლის წინათ კი ჰაპარანდაში ქართველებმა წარმატებას მივაღწიეთ. მიხეილ სალაძე ჩემპიონი გახდა, თემურ აფხაზავამ და სოხუმელმა აირაპეტ მინასიანმა მეორე ადგილები დაიკავეს. მეც ფინალში ვიჭიდავე და ბულგარელთან შეხვედრა ფრედ დავამთავრე. მსაჯებმა უპირატესობა ჩემს მეტოქეს მიანიჭეს.

***— კიდევ რომელ ორთაბრძოლას გაიხსენებდით?***

— 1976 წელს ახალგაზრდებში საკავშირო პირველობაზე გამარჯვების შემდეგ პოზნანში ევროპის პირველობაზე ვიასპარეზე. ფინალში ოთხნი გავედით. შვედ და ფინელ მოჭიდავეებს ვძლიე. ბოლო შერკინებას ბულგარელთან თუ მოვიგებდი, ცხადია, ჩემპიონი გავხდებოდი, სუფთად წაგებისას მეორე ადგილზე გავიდოდი, ქულებით დამარცხებისთვის კი მხოლოდ „ბრინჯაო“ მერგებოდა — ასე იყო მაშინდელი წესებით. შეხვედრის დამთავრებამდე სამ-სამი გაფრთხილებით მე და ბულგარელი მოგვხსნეს ორთაბრძოლიდან, ჩემპიონობა ტრიბუნებზე გადანაცვლებულ შვედ ფალავანს ერგო. გახარებულმა თავისი საჭიდაო ფეხსაცმელები მაჩუქა.



ედიშერ მაჩაიძე საქართველოს ნაკრებთან ერთად.

ერთი საინტერესო ორთაბრძოლაც მინდა გავიხსენო. 1976 წელს საკავშირო თასის გუნდურ გათამაშებას თბილისმა უმასპინძლა. ფინალში რუსებს შევხვდით. ჩემი მეტოქე გახლდათ გენადი ერმოლოვი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. სპორტის სასახლეში იგი გონგამდე 2 წუთით ადრე 9:0-ს მიგებდა. დარჩენილ დროში გულშემატკივრებისგან შეგულიანებულმა 11 ქულა ავართვი მეტოქეს და ჩემი წვლილი შევიტანე თასის მეორედ მოპოვებაში.



ედიშერ მაჩაიძე.

***— ბატონო ედიშერ, როგორც სპორტსმენმა, თქვენ ნაადრევად მიანებეთ თავი ხალიჩას. რა მიზეზით?***

— 1980 წელს იტალიის საერთაშორისო ტურნირზე მძიმე ტრავმა მივიღე, რამაც აქტიურ სპორტს ჩამომაშორა. არადა, სწორედ მაშინ ვიყავი მზად დიდი სპორტისთვის. მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის კვარცხლბეკზე ავიდნენ კუდრიავცევი, გალკინი და ზაპოროჟენკო, რომლებსაც ნებისმიერ შეჯიბრებაზე სუფთად ან აშკარა უპირატესობით ვუგებდი.

***— არბიტრობა რომელი წლიდან დაიწყეთ?***

— ოთხმოციანი წლებიდან. 1988 წელს საერთაშორისო, ხოლო 1996 წელს ექსტრა კატეგორიის მსაჯის წოდება მომანიჭეს. იქიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ყველა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე ვარ ნამყოფი.

***— როგორ ფიქრობთ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოგიწევთ მსაჯობა?***

— **ფილას** ხელმძღვანელობამ შარშან 80 არბიტრი შეგვარჩია საოლიმპიადოდ და რომში სპეციალური სემინარიც გავიარეთ. თანაც წლეულს ორ შეჯიბრებაზე ვარ კომისრად დანიშნული: მაისში აზერბაიჯანის, ოქტომბერში კი ირანის საერთაშორისო ტურნირებზე. სწორედ ეს მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ათენში წამსვლელ მსაჯთა სიაში უნდა მოვხვდე, თუ რამე არ მოხდა გაუთვალისწინებელი, როგორც ოთხი წლის წინათ. მაშინ ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატზე ბერძენი და უზბეკი არბიტრები ცუდი მსაჯობისთვის შეჯიბრებიდან მოხსნეს. არადა, ისინი რაღაც გზებით მაინც მოხვდნენ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, მე კი შინ დამტოვეს.

არა მგონია, ასეთი უსამართლობა წლეულსაც განმეორდეს. მით უმეტეს, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ გოჩა ძასოხოვის ძალისხმევით, ჩვენი იმიჯი **ფილაში** საგრძნობლად გაიზარდა, უწინდებურად ველარ გვჩაგრავენ. მაგალითად ირანში ელდარ კურტანიძის მიერ მსოფლიო ჩემპიონობაც კმარა. თუმცა, არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. ჰაპარანდას გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

ესაუბრა

**ვაჟა დანელია.**

## ტაშკენტი — 64

# „ოქროს ბიჭები"

**წელს 40 წელი სრულდება, რაც თბილისის „დინამომ“ თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. რედაქციის კეთილი ნებით გადაწყვეტილი გვაქვს მოგითხროთ იმ „ოქროს გუნდის“ წევრების შესახებ. პირველი ნარკვევი 1964 წელს სასტარტო მატჩში დინამოელთა მხრივ გატანილი გოლის ავტორს, პოპულარულ ფეხბურთელ ბორის სიჭინავას ეხება, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენს ფეხბურთს.**

28 მარტს, სეზონის პირველსავე შეხვედრაში თბილისელები იმ დროისათვის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს მოსკოვის „სპარტაკს“ მასპინძლობდნენ. მატჩისადმი ინტერესი იმდენად დიდი გახლდათ, რომ ჩვენს დედაქალაქს მრავალი საფეხბურთო მაღალჩინოსანი მოხელე ესტუმრა. ცნობილმა სპორტულმა მიმომხილველმა მარტინ მერჟანოვმა თამაშამდე ერთი დღით ადრე აღნიშნა: „წინასწარ რაიმე მოსაზრების გამოთქმა ძნელია, მაგრამ, ვფიქრობ, ახლანდელი დაცვით თბილისელებს უთუოდ გაუჭირდებათ სპარტაკელებთან შერკინება“.

საბედნიეროდ, შეცდა მრავლისმნახველი სტუმარი — დინამოელთა დაცვამ ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას და ფეხი არ გაანძრევინა მეტოქის მრისხანე თავდამსხმელებს, ხოლო „დინამოს“ მარჯვენა მცველმა ბორის სიჭინავამ არა მარტო ჩაკეტა თავისი სამეურვეო გ. ჰუსაინოვი, არამედ მოედნის სრული ბატონ-პატრონიც გახდა. თვით ის ფაქტი, რომ ერთადერთი გოლის ავტორი ბ. სიჭინავა გახდა, მეტყველებდა ამ დუელის ხასიათზე. ჩვენმა მცველებმა ასპარეზობა, მართლაც რომ, დიდოსტატურად წარმართეს.

მატჩის დამთავრებას დაახლოებით 15 წამი აკლდა (იმ დროს მსაჯი არ ამატებდა დროს), როცა მინდვრის შუაგულში, მარცხენა მხრიდან უკანასკნელი შეტევა წამოიწყო შოთა იამანიძემ. მან დროის სიმცირის გამო მაღალი ბურთი დაჰკიდა სპარტაკელთა კართან. ამ მომენტში შესანიშნავი ტაქტიკური მანევრი განახორციელა ბ. სიჭინავამ. იგი ზუსტად მიუხვდა პარტნიორს ჩანაფიქრს. თითქმის იმავე წამს, როცა შ. იამანიძემ მოძრაობა დაიწყო, ბორისი მოსწყდა ადგილს და ბოლო ფაზაში ბურთს დახვდა ზუსტად იქ, სადაც ეს საჭირო იყო. მცველის მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მოსკოველებს. მათი მარცხენა ნახევარმცველი, გამოჩენილი ფეხბურთელი იგორ ნეტო მაშინვე თან წამოჰყვა ბ. სიჭინავას და ეს თავისებური შეჯიბრება სპრინტში დამთავრდა იმით, რომ თბილისელმა თავის მეტოქეს „ფინიშთან“ სულ მცირე, მინიმალური უპირატესობით მიასწრო და ეს მომენტი საუცხოოდ გამოიყენა.

მატჩის დამთავრებას 5-6 წამი აკლდა.

ბ. სიჭინავა სტადიონმა მხურვალე ოვაციით დააჯილდოვა. ეტყობა, მას აპლოდისმენტები ესიამოვნა და მომდევნო მატჩში მოსკოვის არმიელებთან იგი უფრო „გათავხედდა“ — ახლა უკვე მეკარე იონას ბაუჟას კარის შორეულ კუთხეში მოათავსა პირველი ბურთი... მიმდინარეობდა თამაშის მერვე წუთი.

იმავე წლის 10 ივლისს, მეცამეტე ტურში, როსტოვის სკა-სთან შეხვედრისას ვ. ბარქაიას მიერ მიწოდებულ ბურთს ბ. სიჭინავა დაეუფლა და მოწინააღმდეგის საჯარიმოსკენ დაიძრა. მეკარე ა. გლუხოტკო მოელოდა, რომ თბილისელი პასს გვერდით მყოფ ს. მეტრეველს მიაწოდებდა, მაგრამ სიჭინავამ უფრო გაბედული გადაწყვეტილება მიიღო — ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა.

„დინამოს“ გუნდის უფროსი მწვრთნელის მიხაილ იაკუშინის გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია — იგი ბევრს ასწავლიდა განაპირა მცველებს ხელსაყრელ მომენტებში აქტიურად შეეტიათ მეტოქეთა კარისაკენ, როგორც ამას ადრე დინამოელი ვლადიმერ ელოშვილი აკეთებდა ბრწყინვალედ.

ბ. სიჭინავას მ. იაკუშინი საუკეთესო მწვრთნელად მიაჩნია, მათგან, ვისთანაც მოუწია ურთიერთობა. — ტაქტიკაში ბადალი არ ჰყავდა, საერთოდ კი უბადლო სპეციალისტი იყოო, — განაცხადა ნარკვევის გმირმა. ბ. სიჭინავამ, ზუგდიდის ფეხბურთში ფეხადგმულმა, ითამაშა „ნორჩ დინამოელში“, საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებში, თბილისელთა საყვარელ გუნდში — „ტოდოში“, ბაქოს „ნეფტიანიკში, ისევ „ტოდოში“, 1958 წლიდან კი თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა.

ბ. სიჭინავამ სანუკვარი გუნდის მაისური პირველად მეორე ტურში 30 მარტს, მოსკოვის არმიელებთან შეხვედრაში მოირგო და სტუმართა ყველაზე ძალისმიერი და შედეგიანი ფორვარდი ვასილ ბუზუნოვი მთლიანად გამოთიშა თამაშიდან.

პრესამ მაღალი შეფასება მისცა დებიუტანტის გამოსვლას. იმ სეზონში ბ. სიჭინავამ მყარად მოიკიდა ფეხი ძირითად შემადგენლობაში.

1959 წელს ბ. სიჭინავა მენისკის ოპერაციის გამო მხოლოდ შვიდჯერ გამოვიდა მოედანზე და ვერ მიიღო ბრინჯაოს მედალი. 1960 წლიდან იგი პრაქტიკულად ყველა შეხვედრაში მონაწილეობდა.

ბ. სიჭინავას სხვადასხვა დროს წარმატებით უთამაშია ანატოლი ილინის, გალიმზიან ჰუსაინოვის, იური მოსალიოვის, ვლადიმერ აგაპოვის, სარქის ოვივიანის და სხვათა წინააღმდეგ.



ბორის სიჭინავა.

ბ. სიჭინავამ ათი სეზონის განმავლობაში (1958-1967 წ.წ.) საკავშირო ჩემპიონატების 241 (გაიტანა 6 ბურთი), სსრკ თასის გათამაშების 17 და 55 საერთაშორისო მატჩი (1 გოლი) ჩაატარა, დაჯილდოებულია ოქროს (1964) და ორი (1962, 1967) ბრინჯაოს მედლით, შედიოდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში, დასახელებული იყო 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში (1964 — №2), მინიჭებული აქვს სპორტის ოსტატის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკისა და დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ბ. სიჭინავა დღეს წარმატებით მოღვაწეობს გრიგოლ გაგუას სახელობის „ნორჩი დინამოელის“ სკოლაში. იგი ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, ძალზე გულახდილი და მართალი კაცია, ჰყავს შესანიშნავი ოჯახი. მეგობრები და კოლეგები ყურადღებას არ აკლებენ ღვაწლმოსილ სპორტსმენს, ვისი სახელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში.

**დემიკო ლოლაძე.**








**პირველ სურათზე ნაჩვენებია მომენტი, როცა ბ. სიჭინავა და ი. ნეტო თითქმის ერთდროულად გადიან ბურთზე. მეორე სურათზე ჯერ კიდევ არ არის გარკვეული გოლის ბედი. მესამე სურათზე ნაჩვენებია ამ გადამწყვეტი ეპიზოდის ის ფაზა, როცა ყველაფერი ნათელია: ბურთის მოგერიება არავის შეუძლია, მოთამაშეები მას უკვე კარის ხაზზე ხედავენ. მეოთხე სურათზე ჩანს გატანილი გოლის პირველი ფიქსატორი — მიხეილ მესხი აწეული ხელებით. მეხუთე-მეექვსე სურათები კომენტარს აღარ საჭიროებენ: ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი ულოცავენ გოლის ავტორსა და მატჩის გმირს ბ. სიჭინავას. მან ეს სამართლიანად დაიმსახურა.**

**მიხეილ ზარზარიანის ფოტო.**

**დემიკო ლოლაძის არქივიდან.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ყოველი მხრიდან

## ორი გამარჯვებული



**მონაკოში დამთავრდა მეცამეტე ტრადიციული Amber-ტურნირი სწრაფ და „ბრმა“ ჭადრაკში, პირველობისთვის მსოფლიოს 12 ცნობილი დიდოსტატი იბრძოდა. საბოლოოდ მთავარ პრიზს ორი რუსეთელი მოჭადრაკე – მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმირ კრამნიკი და ალექსანდრ მოროზევიჩი დაეუფლნენ.**

მანამდე კი, მეათე ტურში, სწორედ რუსეთელი ოთხეული დაუპირისპირდა ერთმანეთს. კრამნიკი სვიდლერს ებრძოდა, მოროზევიჩი კი – ბარეევს. ისინი ყაიმზე მორიგდნენ, სამაგიეროდ, გელფანდმა ვან-ველი გაანადგურა – 2:0, ხოლო შიროვმა – ვალეხო – 2:0.

მე-11 ტურში ივანჩუკმა ვალეხო დაამარცხა 2:0, ანანდიმ – გელფანდი – 1,5:0:5, მოროზევიჩმა – სვიდლერი – 1,5:0,5, კრამნიკმა – ტოპალოვი – 1,5:0,5. ყაიმზე შეთანხმდნენ ბარეევ – ლეკო და ვან-ველი – შიროვი.

ამ უჩვეულო ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1-2. **მოროზევიჩი** და **კრამნიკი** – 14,5-14,5 ქულა; 3. **ანანდი** – 13,5: 4. **ივანჩუკი** – 13. 5-6. **ბარეევი** და **ლეკო** – 12,5-12,5; 7. **სვიდლერი** – 11,5. 8. **შიროვი** – 10,5, 9. **ტოპალოვი** – 10. **გელფანდი** – 8,5; 11. **ვან-ველი** – 7,5. 12. **ვალეხო** – 3,5.

## „ფორმულა-1“ – ახლო აღმოსავლეთში

**დღეს ბაჰრეინის დედაქალაქ მანამაში პირველად გაიმართება ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 55-ე მსოფლიო ჩემპიონატის ახალი ეტაპის „ბაჰრეინის გრან-პრის“ გათამაშება. ახალ-ახალ, მხოლოდ ორი კვირის წინათ დამთავრებულ, ავტოდრომზე „სახირი“ პარასკევს გაიმართა პირველი თავისუფალი ვარჯიში, ხოლო გუშინ – კვალიფიკაცია.**

რბოლის ორგანიზატორებსაც და პილოტებსაც განსაკუთრებით აშინებდათ ის გარემოება, რომ თითქმის განუწყვეტელ ქარს ტრასაზე უხვად მოჰქონდა სილა (ავტოდრომი ხომ უდაბნოშია აგებული), რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა ბოლიდებსაც და, რასაკვირველია, პილოტებსაც.

ერთგვარ გამოსავალს მაინც მიაგნეს, ავტოდრომის მომსახურე პერსონალმა სპეციალური შემაკავშირებელი ხსნარით დაამუშავა ტრასის მახლობელი ქვიშის დიუნები.

როგორც პირველი ვარჯიშის შემდეგ 6-გზის მსოფლიო ჩემპიონმა მიხეილ შუმახერმა განაცხადა: „ტრასა მშვენივრად მომზადებული აღმოჩნდა და, საერთოდ, ძალზე სიმპათიურად გამოიყურება“.



ვნახოთ, რას იტყვის სახელოვანი პილოტი დღევანდელი რბოლის შემდეგ.

**სურათზე: ბაჰრეინის ავტოდრომის „სახირი“ ტრასის სქემა.**

## პრაღიდან ბაქოში გადმოტანილი ჩემპიონატი

**ძალოსნობაში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც პრაღაში უნდა გამართულიყო, გადატანილია ბაქოში. ასე გადაწყვიტა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ** (IWG).

ძირითად მიზეზად ასახელებენ შარშანდელ წყალდიდობას პრაღაში, რომლის დროსაც დაიტბორა ის ადგილი, სადაც ამ ჩემპიონატისთვის ახალი სპორტის სასახლე უნდა აშენებულიყო. ჩეხეთის ძალოსანთა ფედერაცია, რომელიც თავად გამოვიდა ჩემპიონატის გადატანის ინიციატორად, უმასპინძლებს 2007 წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატს.

ძალოსანთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ფედერაციის ახალ წევრად მიიღეს უელსისა და სომალის ეროვნული ფედერაციები. ასე რომ, ახლა ამ საერთაშორისო ორგანიზაციას 171 წევრი ჰყავს.

## ფეხბურთელებო, არ გაეკაროთ ქალებს!

**მთელი მსოფლიოს ფეხბურთელებს ახალი საშიშროება ელით. თითქოს უხეში თამაშით მიყენებული ტრავმები, გაშვებული გოლები და მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებანი არ ეყოფოდათ, ახლა უნდა ერიდონ ფულზე დახარბებულ ქალებსაც, რომლებიც ხშირად მათ ჯგუფურ გაუპატიურებაში ადანაშაულებენ.**

მთელი მსოფლიოს მერკანტილურ ქალიშვილებს ახალი ჰობი გამოუჩნდათ – დიდი ფულის ფასად ახალგაზრდა, მგზნებარე ფეხბურთელების გამოჭერა.

კოლომბოში ჩილეს უნივერსიტეტის სტუდენტები სწორედ ასეთი მოხერხებული ქალების მსხვერპლნი გახდნენ. იანვრიდან მოყოლებული სპეციალური კომისია განიხილავს 8 ქალიშვილის საჩივრებს, თითქოს „კოლოკოლოს“ ნასვამმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ისინი გააუპატიურეს.

მართალია, ეს საჩივრები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფეხბურთელებზეა შესული, მაგრამ ამით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შვება არ უგრძვნია, რადგან სექსუალური გაუპატიურების წინააღმდეგ მოძრაობის წარმომადგენლები საჯაროდ თათხავენ უნივერსიტეტს, რომ იქ ფარავენ ახალგაზრდა მოძალადეებს.

ჯერ ეს საქმე არ დამთავრებულა და უკვე გამოჩნდა ახალგაზრდა მოძალადეების კიდევ ორი „მსხვერპლი“, რომლებმაც თითქოს მცირე პაუზის შემდეგ მაინც გადაწყვიტეს სასამართლოსთვის მიმართვა.



## ნიკიტა სიმონიანი „სპარტაკში“ წასვლას არ აპირებს

**წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ნიკიტა სიმონიანმა, ახლა რუსეთის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, უარი თქვა მოსკოვის „სპარტაკის“ პრეზიდენტობაზე, რომელიც მას კლუბის აქციონერებმა შესთავაზეს.**

უარის ძირითად მიზეზად სიმონიანი თავის ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას ასახელებს.

ახლა, „სპარტაკის“ პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკოა, მაგრამ, არაოფიციალური ინფორმაციით, ის პოსტიდან წასვლას აპირებს, როგორც კი მის კუთვნილ კლუბის აქციებს გაყიდის.

## ფეტიშისტები კრივის წინააღმდეგ

**მიუხედავად ბოლო დროს მოპოვებული დიდი პოპულარობისა, მაინც ამტკიცებენ, რომ კრივი ქალების საქმე არ არის. ამის მაგალითად ვალერი მაფუდის შემთხვევას ასახელებენ.**

მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მოკრივე ქალმა – ვალერი მაფუდმა გასართობად ღამის კლუბში წასვლა გადაწყვიტა, რაც სპორტსმენისთვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ ღღესასწაული კლუბის მცველებმა ჩაამწარეს.

ქალთა ტუალეტისაკენ მიმავალი მოკლედ შეკრეჭილი ვალერი მცველებმა შეაჩერეს, არ დაიჯერეს, რომ მათ წინ ქალი იდგა. მამაკაცებს კი ქალთა ტუალეტში არაფერი ესაქმებათ. მათ ვალერის ხელი სტაცეს და ქუჩაში მიაბრძანეს. მისმა სერიოზულმა წინააღმდეგობამ კი მათ რწმენა უფრო განუმტკიცა, რომ ისინი მამაკაცს ებრძოდნენ.

ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე იმართლებენ ისინი თავს. ვალერი მაფუდი და მისი ადვოკატი კი ამტკიცებენ, რომ მცველებმა ვალერი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პიროვნებად მიიჩნიეს და ამიტომ მოექცნენ ასე მტრულად, ხოლო იმის საბუთები, რომ ვალერი ქალი იყო, თავზესაყრელად ჰქონდათ. ჩხუბის დროს ხომ მას პერანგი შემოახიეს და გასასვლელისკენ თითქმის შიშველი გაათრიეს.



ამ გაუგებრობის მთავარ მიზეზად კი ის მიაჩნიათ, რომ ამას წინათ უცნობმა პირმა მოიპარა ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალის ტრუსები. ფიქრობენ, მოქმედებდა სასტიკი ფეტიშისტების ერთი და იგივე ბანდა, მაგრამ მოქმედი სპორტსმენის აქსესუარები მათ უკვე ხელში ველარ ჩაიგდეს.




ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ხალიჩიდან – ფიცარნაგზე, I ნაწილი

ახალგაზრდობის მიუხედავად **მიხეილ ღვინჯილიამ** (დაიბადა 1985 წელს) უკვე მოასწრო თავისუფალი ჭიდაობისთვის თავის დანებება და მთელი სულითა და გულით ვარჯიშობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ათლეტიზმის დარბაზში. იგი დედაქალაქის პოლიტექნიკური კოლეჯის არქიტექტურის სპეციალობის IV კურსის სტუდენტია და კარგად უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და სპორტს.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს ძალისმიერ ორჭიდში (ჩაჯდომა+წოლჭიმი) საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონის მიხეილ ღვინჯილიას შესრულებით.



1



2



3

მხრის კუნთების ვარჯიში

**1. ტრენაჟორის ღერძის აჭიმვა ზურგს უკან (სურ. 1).** ეთმობა 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

მკერდის კუნთების ვარჯიში

**2. განმკლავი ჰანტელებით დახრილ საკამზე (სურ. 2, 3).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.



4

მხრის ორთავა კუნთების (ბიცეპსების) ვარჯიში

**3. დახრილ დაფაზე დაყრდნობილი იდაყვებით შტანგის სახემდე აწევა (სურ. 4).**

**4. იგივე ვარჯიში ჰანტელებით (სურ. 5).**

მე-3 და მე-4 ვარჯიშებს ეთმობა 6-6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**



5

კურიოზი

## სასწაული 39 წამში

ეს გასაოცარი ამბავი შორეულ 1957 წელს მოსკოვში, სტუდენტთა მსოფლიოს VI ფესტივალის მე-3 სპორტულ თამაშებზე მოხდა. ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობის ამ თამაშების პროგრამაში კლასიკური ჭიდაობაც იყო შეტანილი. საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას ქვემძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბათუმელი როსტომ აბაშიძე იცავდა.

ფინალურ შერკინებას ქართველი გოლიათი მოუთმენლად მოელოდა, მაგრამ შეხვედრის წინა დღეს ავად გახდა და ექიმებმა საერთოდ აუკრძალეს ხალიჩაზე გასვლა, მაგრამ ასე როდი ფიქრობდა როსტომ აბაშიძე! როდესაც მსაჯებმა მისი გვარი გამოაცხადეს, იგი ხალიჩის ერთ კუთხეში იდგა, წითელი მაისურიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლიანებული სახე მოიწმინდა. ტანი უხურდა ქართველ ფალავანს, ტემპერატურა 39,3 აჩვენებდა. ხალიჩის მეორე კუთხეში რუმინელი მილკო პოპოვიჩი იდგა. მან ჩინებულად იცოდა, რომ მის მოწინააღმდეგეს დიდი სიცხე ჰქონდა და ადვილი გამარჯვების მოლოდინში ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. როგორც კი მსაჯმა შერკინების დაწყების ნიშანი მისცა, აბაშიძე უმალ გაემართა მეტოქისაკენ. ილიებს ქვევით შეუვარდა პოპოვიჩს და უკუგდებით ბეჭებით მიაკრა ხალიჩას. ყოველივე ეს 39 წამში მოხდა.

აბაშიძე ხელში აიტაცეს, საავადმყოფოში გააქანეს და ოქროს მედალი მეორე დილით სტაციონარში გადასცეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## შორეული ახლობელი

# ახლა უკვე ჩემს თავზე აღარ ვოცნებობ...

### ინტერვიუ ამერიკელ ქართველთან მელორ სტურუასთან

*ეძღვნება ჩემს საყვარელ ბაბუას — დევი სტურუას.*

***შარშან,** როდესაც მელორ სტურუა საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ „ოქროს ფრთით" დააჯილდოვა, იგი ვერ ჩქვია თბილისს.*

*დადგა ნანატრი დღე — 2004 წლის 24 იანვარს მელორი თავის შვილიშვილთან, მომავალ ფსიქოლოგთან მელორ გიორგის ძე სტურუასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში. ისინი სასტუმრო „მერიოტში" დაბინავდნენ, მაგრამ ჩვენ ერთად გავატარეთ ეს დღეები. მელორ-უმცროსთან ერთად ვიყავით სვეტიცხოველში, ჯვარზე და ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ვნახეთ, რისი ნახვაც შეიძლებოდა ამ მოკლე დროში. მელორ სტურუასთან ინტერვიუ კი ჩვენს სახლში ჩავწერეთ 27 იანვარს.*

*ჩემ წინ იჯდა სახელგანთქმული ჟურნალისტი და მე მისგან ვიღებდი ინტერვიუს, ნებისმიერი ჩემი თანატოლისთვის ეს ძალიან ამაღელვებელი იქნებოდა და ასე იყო ჩემთვისაც, ინტერვიუს დაწყებამდე ბატონმა მელორმა რამდენიმე რჩევა მომცა.*

*მე თავი ჟურნალისტად წარმოვიდგინე და ჩვენი ნათესაური კავშირიდან გამომდინარე, პირველად ეს ვკითხე:*

**– ბატონო მელორ, თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვით თქვენი წარმომავლობის შესახებ გვიამბოთ?**

– დავიბადე 1928 წელს 10 აპრილს სოხუმში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის, პროფესიონალი რევოლუციონერის გიორგი სტურუასა და გალატაკებული აზნაურის ნინო აბულაძის ოჯახში.

ჩემი ბიძა ლუარსაბ აბულაძე იყო მეფის არმიის ოფიცერი და შემდეგ მსახურობდა მენშევიკურ მთავრობაში ნოე ჟორდანიასთან, როდესაც ორჯონიკიძე შემოუძღვა რუსეთის არმიას, ის მეორე მხარეს იბრძოდა და დაიღუპა კიდეც. ქართველი მონტეკებისა და კაპულეტების მტრობას დედაჩემისა და მამაჩემის ქორწინებამ დაუსვა წერტილი.

**– როგორც აღნიშნეთ, მამა გამოჩენილი რევოლუციონერი იყო, თუმცა მას რევოლუციისადმი თავდადება ბოლომდე არ დაუფასდა. თქვენ ეთანხმებით თუ არა მამის იდეოლოგიას?**

– ჩვენ ყოველთვის ვკამათობდით... მამა რადიკალურად იყო განწყობილი, მე კიდევ ვფიქრობდი, რომ სოციალისტურ თეორიაში საჭირო იყო ცვლილებების შეტანა, რათა ის უფრო თანამედროვე გამხდარიყო. მამაჩემი ორთოდოქსი მარქსისტი იყო, მაგრამ 1949 წელს მაინც დასდეს ბრალი, რომ იგი „ნაღვლობდა ტროცკიზმზე". გაათავისუფლეს კიდეც სამსახურიდან და ჩვენ მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა, ვინაიდან შემონახული არ გვქონდა არც ერთი კაპიკი, მამა ქრთამს არ იღებდა. მოსკოვში სწავლის დროს, მე და დევი ღარიბულად ვცხოვრობდით. ჩვენი სტიპენდიითა და ნამუშევრებით გვიხდებოდა თავის გატანა. მიუხედავად იმისა, რომ მამა არ დაუჭერიათ და არც პარტიიდან გაურიცხავთ, მისმა მდგომარეობამ გარკვეული დაღი დაასვა ჩვენს მომავალ ცხოვრებას.



მელორ სტურუა ანასთან ერთად.

**– როდის დაიწყო თქვენი მოღვაწეობა გაზეთ „იზვესტიაში" და გახსოვთ თუ არა თქვენი პირველი სტატია?**

– 1950 წლის 5 თებერვალს, ე. ი. 54 წლის წინათ მე ოფიციალურად მიმიღეს „იზვესტიის" თანამშრომლად და ჩემი პირველი სტატია, რომელიც მარტში დაიბეჭდა, ეხებოდა იმას, თუ როგორ ბაძავენ გერმანელი ბანკირები ამერიკელ ბანკირებს.

**– მოგწონდათ თუ არა საბჭოთა კავშირის დროინდელი საქართველო?**

– საქართველო ჩემი სამშობლოა და სამშობლო ყოველთვის უნდა გიყვარდეს. მე კი მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ახალგაზრდას უფრო ოპტიმისტური შეგრძნება აქვს ყველაფრის მიმართ. მომწონდა ის, რომ საქართველო იყო აყვავებული და შეიძლება თქმა, ბედნიერი სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, მაგრამ, რასაკვირველია, მე ვგრძნობდი, რომ საქართველოში იყო ისეთი მოვლენებიც, რომლებიც არ შეიძლებოდა მოგწონებოდა. ჯერ კიდევ მაშინ იყო კორუფცია და მექრთამეობა. თუმცა, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ასეთ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევდი.

**– გზღუდავდათ თუ არა საბჭოთა რეჟიმი?**

– რასაკვირველია, მზღუდავდა. იყო ცენზურა და არ შემეძლო მეწერა სრულად ის, რასაც ვფიქრობდი. გარდა ამისა, ეს რეჟიმი მეც ძალიან მკაცრად მექცეოდა. ორჯერ, ერთხელ 5 წლით და მეორედ – 4 წლით პასპორტი მქონდა ჩამორთმეული და საზღვარგარეთ არ მიშვებდნენ, ხოლო 1949 წელს, როცა უკვე დავამთავრე ინსტიტუტი, იმის გამო, რომ სტუდენტებმა ჩაატარეს სილამაზის კონკურსი და მე ჟიურის თავმჯდომარე ვიყავი, აღარ გამანაწილეს საგარეო საქმეთა სამინისტროში და ჩემს დიპლომატიურ კარიერასაც აქ დაესვა წერტილი.

**– როგორ აფასებთ შევარდნაძის მოღვაწეობას?**

– შევარდნაძის პრეზიდენტობა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი – პოზიტიური, იმიტომ, რომ მან შეძლო საქართველო გამოეყვანა ქაოსიდან. მეორე, ვერ შეებრძოლა კორუფციას. მისი ახლობლები და პროტექეები იყენებდნენ მის სახელს გასამდიდრებლად და ეს, რასაკვირველია, ქართველ ხალხს ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა.



დევი სტურუა.

**– როგორ აფასებთ საქართველოში მომხდარ ცვლილებებს?**

– ეს ცვლილებები პოზიტიურია და, რასაკვირველია, დადებითად უნდა მივიჩნიოთ. ხელისუფლებაში ახალგაზრდა ძალები მოვიდნენ, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, რომ საქართველოს აყვავება მიდიოდეს არა კორუფციული, არამედ ნორმალური, კანონიერი გზით. ეს გვაძლევს იმედს, ვიფიქროთ, რომ ისინი გაამართლებენ ხალხის ნდობას.

**– მოგწონთ თუ არა ახალი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა?**

– მე არ ვიცნობ კარგად ბატონ მიხეილს, მაგრამ ჩემი პირველი შეხვედრა მასთან ტოვებს ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ჯერ ერთი, ახალგაზრდაა, ახალი შეხედულებებით, წინსვლის სურვილით, მერე განსწავლულია, იცის უცხო ენები, თანაც იურისტია და ჩვენ ზუსტად ასეთი ხელმძღვანელი გვჭირდება. სტარტისათვის ბატონ მიხეილს აქვს ყველაფერი – მხარდაჭერა და ხალხის სიყვარული. მას მხარს უჭერს ისეთი ქვეყანა, როგორიც არის ამერიკა, იმიტომ კი არა, რომ იგი სწავლობდა ამერიკაში, – არა, – იმიტომ, რომ ის არის იურისტი და ის დაიცავს კანონს, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

პირადად მე ძალიან მომეწონა ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი ლელავდა და ფიცის მერე ტრიბუნაზე კი არ ავიდა, არამედ ჩავიდა თავის ხალხთან.

**– რას ფიქრობთ „ვარდების რევოლუციაზე"?**

– „ვარდების რევოლუცია" ძალიან კარგია, როგორც სიმბოლო, მაგრამ, რასაკვირველია, ვარდებით ჩვენ ვერ გავალთ ფონს იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ეკალია ჩვენს გზაზე. ჩემი აზრით, „ვარდების რევოლუციის" მთავარი მიღწევაა ის, რომ სისხლი არ დაიღვარა.

**– თქვენ ახლახან დაგაჯილდოვეს „ოქროს ფრთით", კიდევ რა ჯილდოები გაქვთ მიღებული საქართველოში?**

– მე ვარ თბილისის საპატიო მოქალაქე, მაქვს ღირსების ორდენი.

**– რუსეთსა და ამერიკაში თუ გაქვთ მიღებული ჯილდოები?**

– რუსეთში მე მქონდა შრომის წითელი დროშის 2 ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი, ტოლსტოის, ვოროვსკის პრემიები, სხვადასხვა ჟურნალისტური პრემია. საზღვარგარეთ მომანიჭეს ყველაზე სენსაციური ჟურნალისტის პრემია. ახლა მე მივდივარ მოსკოვში და მენეჯმენტის ინსტიტუტში მომანიჭებენ საპატიო დოქტორის წოდებას.

**– დაკარგეთ თუ არა რაიმე საქართველოდან გამგზავრებით?**

– რასაკვირველია, დავკარგე. მე ვერ ვხედავ ჩემს ახლობლებს ისე ხშირად, როგორც მსურს, ჩემს საქართველოს, თბილისს, – ეს დიდი დანაკლისია.

**– ადვილად დაგაფასეს ამერიკაში?**

– ამერიკაში წინააღმდეგობას არ შევხვედრივარ. სანამ იქ გადავიდოდი, სახელი უკვე მქონდა მოხვეჭილი. იქ მიცნობდნენ და თვითონ მიმიწვიეს.

**– როგორც ამბობენ, დიდება 15-წუთიანიაო...**

– იცით, რა, თუ შესაძლებლობა გაქვთ, 15 წუთს მაინც იდიადებთ, მაგრამ მე ვფიქრობ, თუ ნამდვილად რაღაცის შემქმნელი ხარ, უფრო მეტ ხანს იქნები ისტორიაში.

**– თქვენ ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვედრიხართ, განსაკუთრებით ვინ დაგამახსოვრდათ?**

– ძალიან დამამახსოვრდა შეხვედრა ნობელის პრემიის ლაურეატთან, ფიზიკოს ჰანს ბედესთან. მას აინშტაინის 100 წლის იუბილეზე შევხვდი პრისტონის უნივერსიტეტში. მეცნიერებს ეკითხებოდნენ, რა არის ცხოვრება, სამყარო, ჩააცივდნენ ბედეს და მისგან ითხოვდნენ პასუხს. შეწუხებულმა ბედემ თქვა: „მე არაფერი არ ვიცი, ჩვენ არაფერი არ ვიცით, ჩვენი ცოდნა არის დიდი საიდუმლოს პატარა მონაკვეთი".

**– რამდენი წიგნის ავტორი ბრძანდებით?**

– გამოცემული მაქვს 32 წიგნი.

**– არჩევანის წინაშე რომ დამდგარიყავით, სად დაბრუნდებოდით?**

– თუ არჩევანი დადგება, სად მოვნახო უკანასკნელი ნავსაყუდელი, მე რასაკვირველია, თბილისს ავირჩევდი.

**– ბაბუა დევისგან ვიცი, ძალიან მოგწონდათ დარეჯანის სასახლე და ოცნებობდით, რომ თქვენი ყოფილიყო. ეს განუხორციელებელ ოცნებად დარჩა?**

– მე მახსოვს კლდეზე აღმართული ულამაზესი შენობა და სულ იმას ვფიქრობდი, როცა დავამთავრებ მოღვაწეობას, დავჯდები ამ სახლის აივანზე, ღვინოს მოვსვამ, ნარდს ვეთამაშები ჩემს მეგობრებს, თბილისს გადავხედავ და დავტკბები მისი სილამაზით-მეთქი, მაგრამ ამისთვის მე ჯერ მზად არა ვარ.

**– რაზე ოცნებობთ?**

– ახლა უკვე ჩემს თავზე აღარ ვოცნებობ. მე ვოცნებობ შვილებზე, შვილიშვილებზე, ჩემს ერზე, რათა მათ ნახონ ნორმალური, არ ვამბობ არაჩვეულებრივი, ცხოვრება, რომელიც ჩვენ არ გვეღირსა.

**– „ვარდების რევოლუციის" შემდეგ აპირებთ თუ არა, უფრო ხშირად ჩამოხვიდეთ საქართველოში?**

– კი, საერთოდ, ამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ბიძგი მისცა ჩემს გადაწყვეტილებას, უფრო ხშირად ჩამოვიდე საქართველოში, შეიძლება რამეში გამოვადგე ახალ ხელისუფლებას.

ესაუბრა
**ანა სტურუა.**

## მსოფლიო შტრიხებში

# დალევას სიგარეტიც უხდება?

**არ გეგონოთ, თამბაქოს რეკლამას ვეწევით. არა, ასეთი დასკვნა გამოიტანა დიუკის უნივერსიტეტის მეცნიერმა ჯედ როუზმა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით დაასკვნეს, ალკოჰოლის მიღების შემდეგ ბევრი ადამიანი რატომ ეწევა უფრო მეტს.**

როუზმა და მისმა კოლეგებმა 48 მწეველი შეარჩიეს, რომლებიც, როგორც მინიმუმი, კვირაში ოთხჯერ მაინც სვამდნენ. ექსპერიმენტის თითოეულ მონაწილეს შესთავაზეს ან ალკოჰოლური სასმელი, ანდა პლაცებო (ფსევდოალკოჰოლური სასმელი). თანაც მათ მოსაწევად აძლევდნენ ჩვეულებრივ სიგარეტებს, ხოლო კონტროლისთვის – უნიკოტინო სიგარეტებს.

ექსპერიმენტში მონაწილეების პირადი განცხადებით, ალკოჰოლი, პლაცებოსაგან განსხვავებით, აძლიერებდა ნიკოტინით გამოწვეული სასიამოვნო ეფექტების შეგრძნებას, მაგალითად, დამამშვიდებელ ეფექტს. ამასთან, უნიკოტინო თამბაქოს მოწევა არ იწვევდა ასეთ დადებით რეაქციას მათში, ვინც ალკოჰოლს ღებულობდა.

ამ აღმოჩენის შუქზე გასაგები ხდება, ბევრი ადამიანი, წევა რომ მიატოვა, დალევის დროს რატომ ეტანება სიგარეტს.



მეცნიერებმა ასევე შეადარეს დალევის შემდეგ სიგარეტის მწეველთა შეგრძნებები იმ ადამიანთა შეგრძნებებს, ვინც ნიკოტინის ანტაგონისტური ნივთიერების – მეკამილამინის – მიღების შემდეგ სვამს. სასიამოვნო განცდის ნაცვლად, ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო ეფექტი მიიღეს. თანაც ექსპერიმენტის მონაწილეები უფრო მეტს ეწეოდნენ, რათა აენაზღაურებინათ მეკამილამინის ზემოქმედებით გამოწვეული უსიამოვნება. ეს შედეგი დამატებით ამტკიცებს, რომ ალკოჰოლი აძლიერებს და არ თრგუნავს ნიკოტინის მოქმედებას, რითაც ადამიანებს უბიძგებს მათი ერთად გამოყენებისაკენ.

ამავე დროს დადგინდა, რომ მეკამილამინი შეიძლება გახდეს როგორც თამბაქოსადმი, ისე ალკოჰოლისადმი ლტოლვის მკურნალობის ახალი მეთოდი.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 78, კვირა, 4 აპრილი, 2004 წელი.

AgVANTAGE

## USAID-ის მიერ დაფინანსებულ SAVE პროგრამას AgVANTAGE დაერქვა

ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულმა გადამამუშავებელი საწარმოების მხარდამჭერმა (SAVE) პროგრამამ ახლახანს სახელი შეიცვალა. ახალმა სახელმა AgVANTAGE შეცვალა აბრივიატურა "SAVE", რომელიც დაწყების დღიდან ასოცირდებოდა პროგრამასთან. სახელის შეცვლასთან დაკავშირებით გაიმართა მიღება, რომელიც აგრეთვე მიძღვნა ახალი ოფისის ოფიციალურ გახსნას, რომელიც მდებარეობს თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე, ქართუ ჯგუფის შენობაში.

ახალი სახელი - AgVANTAGE - უკეთ გადმოსცემს პროგრამის კომერციულ ხასიათს და უფრო ზუსტად აღნიშნავს იმ უპირატესობებს, რომლებსაც პროგრამა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს სთავაზობს. ცვლილების მეორე მიზანი მსგავსი აბრივიატურის მქონე სხვა ორგანიზაციებთან გაიგივების გამორიცხვაა. სახელის ცვლილების მიუხედავად, პროგრამის პირვანდელი მიზნები უცვლელი დარჩა.

AgVANTAGE-ის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება საექსპორტო შესაძლებლობების შესაბამისად, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორების შერბილების გზით, რაც დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს, გადამამუშავებლებს და გამსაღებლებს, წარმატებით იასპარეზონ საერთაშორისო ბაზრებზე. AgVANTAGE-ის ხედვაა საქართველოს, როგორც მყიდველთა მოთხოვნების შესაბამისი, სტაბილურად მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სანდო მიმწოდებლის რეპუტაციის ამაღლება.

AgVANTAGE მუშაობს პროდუქტების შემდეგ კატეგორიებზე: ნედლი ხილი და ბოსტნეული,

გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული, სპეცპროდუქტები და იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის მქონე პროდუქტები.

თუ თქვენ ხართ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან გამსაღებელი, მყიდველი, ანდა პოტენციული ინვესტორი ან კრედიტორი და გსურთ შეიტყოთ თუ რით შეუძლია AgVANTAGE–ს თქვენი დახმარება, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:

ილ. ჭავჭავაძის გამზირი 39ა, მე-12 სართული
თბილისი 0162, საქართველო
ტელ: +995 (32) 25 02 83
ფაქსი: +995 (32) 29 18 42
ელ.ფოსტა: info@agvantage.org.ge

AgVANTAGE-ის საქმიანობის შესახებ უახლოეს მომავალში გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობთ.

## საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად: ყიზილაჯლოს ბაზალტების საბადოს (მარნეულის რ-ნი) დამუშავებაზე ბაზალტების მოპოვების მიზნით; მდ. დურუჯის კალაპოტის გაწმენდა-დამუშავებაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით (ყვარლის რ-ნი); ძეგვის ტუფების-ცემენტის დანამატის საბადოს (მცხეთის რ-ნი) დამუშავებაზე ტუფების მოპოვების მიზნით; მარნეულის რ-ნი სოფ. კირიხლას მიმდებარე ტერიტორია მდ. დებედას კალაპოტიდან ინერტული მასალის მოპოვებაზე; დუშეთის რ-ნის სოფ. ბულაჩაურის მიმდებარე ტერიტორია მდ. წირდალას და მდ. არაგვის შესართავთან ინერტული მასალის მოპოვებაზე; მცხეთის რ-ნის სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ქსანის ინერტული მასალის მოპოვებაზე; გარდაბნის რ-ნის მარტყოფის საკრებულოს სოფელ ვაზიანის ტერიტორიაზე არსებული საბადოს დამუშავებაზე თიხა-თაბაშირის მოპოვების მიზნით (სამთო და მიწის მინაკუთვნის ფართობი 10 ჰა-მდე); ტყიბულის რ-ნის სოფ. გურნის ტერიტორიაზე თიხების შესწავლის მიზნით (გეოლოგიური მინაკუთვნი 20 ჰა); „საირმის" მინერალური წყლის მოპოვება (ბაღდათის რ-ნი); სოფ. ნუნისის დაბალი მინერალიზაციის წყლის საბადოს დამუშავება-მოპოვება (ხარაგოულის რ-ნი); „ჩრდილის" (ნუნისის მთა) დაბალი მინერალიზაციის წყლის საბადოს დამუშავება-მოპოვება (ხარაგოულის რ-ნი); „მიტარბის" მინერალური წყლის მოპოვება (ბორჯომის რ-ნი); „ველის წყაროს" მინერალური წყლის საბადოს დამუშავება-მოპოვება (ქ. თბილისი); „ნაბეღლავის" მინერალური წყლის საბადოს დამუშავება-მოპოვება (ჩოხატაურის რ-ნი); „ბურუსი ნაქალაქარის", „ფსიტიანის", „მთის წყაროს" და „თბილწყალას" დაბალი მინერალიზაციის წყლის საბადოების დამუშავება-მოპოვება თელავის წყალმომარაგების მიზნით (თელავის რ-ნი); სოფ. ჭაბუკიანის ლუდის ქარხნის ტერიტორიაზე დაბალი მინერალიზაციის წყლის მოპოვება (ლაგოდეხის რ-ნი); სოფ. წინანდლის საფერავის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან მტკნარი წყლის დამუშავება-მოპოვება (თელავის რ-ნი).

ლიცენზიები გაიცემა 20 წლამდე ვადით, ვადა განისაზღვრება მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის პარამეტრების გათვალისწინებით. სალიცენზიო ობიექტებს დაუწესდებათ მიწის მინაკუთვნი და მასზე უფლება გაიცემა ლიცენზიასთან ერთად. სამთო მინაკუთვნი განისაზღვრება ექსპერტთა საბჭოს მიერ. წიაღით მოსარგებლემ უნდა შეადგინოს სათანადო პროექტი და წარადგინოს ექსპერტიზაზე ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციაში.

წიაღით სარგებლობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი რაციონალურად გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

წიაღით სარგებლობის კონკრეტული პირობები დაზუსტდება პრეტენდენტების მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით და წარმოადგინონ დოკუმენტაცია „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება 2004 წლის 25 აპრილამდე კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით. დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 25-31-53; 25-31-54; 25-31-56.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი.
მისამართი: ფალიაშვილის № 87.

## მიწვევა ტენდერში მონაწილეობისთვის

1. კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი, აღორძინების საკრედიტო ბანკის (KFW) თანადაფინანსებით, აცხადებს ღია ტენდერს ნიადაგების რუკების ტრანსფარენტების სკანირების და დიგიტალიზაციის (დაახლოებით 250 ტოპო ფურცელი) სამუშაოების შესასრულებლად, შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა – 3 თვე.

3. დაინტერესებულმა პირებმა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დანართი № 1-ის მიხედვით უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიურ სამუშაოთა ნუსხა და შესრულებული სამუშაოს ერთ-ერთი ნიმუში CD-ზე ჩაწერილი, რომელიმე GIS პროგრამაში;
- სამუშაოთა შესრულებისათვის მათ ხელთ არსებული ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა (ოფიციალური ლიცენზია) უნდა იყოს არანაკლებ 6 სამუშაო ადგილისა;
- პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მონაცემები და სხვა ტექნიკური შესაძლებლობები.

4. საკვალიფიკაციო მონაცემებს უნდა დაერთოს შემდეგი ცნობები და ინფორმაციები:

*ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;*

*ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;*

*გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;*

*დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;*

*ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;*

*ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი) და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;*

*ზ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.*

დამატებით (გარდა „ა" „ვ" პუნქტებისა) ფიზიკური პირებისათვის:

*ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;*

*ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.*

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, დახურული კონვერტით მ/წლის 19 აპრილიდან 21 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. № 10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის გარეშე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. № 10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გურგენ ლემონჯავა – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 32-30-69 და ნიკა შახოვი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 25-15-28, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. № 10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.

**სატენდერო კომისია.**

## განცხადება

2004 წლის 30 აპრილს 14 საათზე გაიმართება სს „მრეწვრკინიმზის" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ს/ს „მრეწვრკინიგზის" 2003 წლის მუშაობის ანგარიში;
2. სხვადასხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭო.

მისამართი: კაიროს ქ. 36, 70-71-73.

## სს „თბილხელსაწყო"

**აცხადებს, რომ 2004 წლის 30 აპრილს 12 საათზე, ქ. თბილისში, მოსკოვის გ. №24ა-ში გაიმართება აქციონერთა მორიგი საერთო კრება**

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა.
3. აუდიტორის არჩევა 2004 წლისათვის.

აქციონერებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საზოგადოების ადმინისტრაციაში. საკითხები, რომლებიც აქციონერების მიერ წერილობით იქნება დაყენებული 2004 წლის 20 აპრილამდე, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განიხილება საერთო კრების მიერ. კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ აქციონერებს, რომლებიც 2004 წლის 25 მარტისთვის რეგისტრირებული არიან ს/ს „თბილხელსაწყოს" აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრი შპს „კომპანია-ცენტრი", რომელიც მდებარეობს მისამართზე: მოსაშვილის ქ. №24.

**საზოგადოების დირექტორატი.**

## განცხადება

2004 წლის 20 აპრილს, 12 საათზე საზოგადოების სათავო ოფისში, მისამართი: ქ. თბილისი. შიო მღვიმელის ქ. 15,6 ტარდება სააქციო საზოგადოება „კლაუსის" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. გასული წლის შედეგების განხილვა და დამტკიცება;
2. სხვადასხვა.

სს „კლაუსის" ადმინისტრაცია.

ქირავდება საოფისედ ან იყიდება სარემონტო, 200 კვ/მეტრი საერთო ფართობი ვაკეში, ატენის ქუჩა №3. პირველი სართული, ბელეტაჟი. ტელეფონი 23-03-12, გიგი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მოდა

# hfc udrfhyf[j,ty 1lpfbytht,b fv ctpjypt0

**პარიზში გამართულ მაღალი მოდის კვირეულზე გამოიკვეთა, თუ რა არის მოდური ამ გაზაფხულზე.**

**ამ ტრადიციულ კვირეულზე პაკო რაბანის, ტერი მიულგერის, ჟან-პოლ გოტიეს, ივ სენ ლორანის, ნინა რიჩის და შანელის მოდელებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს.**

ტერი მიულგერმა (ჰოლივუდის ვარსკვლავთა რჩეული მოდელიერი) ტყავისა და ნაზი ქსოვილისგან შექმნილი კოლექცია წარმოადგინა. მას მიაჩნია, რომ უფაქიზესი, გამჭვირვალე ქსოვილის შეხამება მძიმე უხეშ მასალასთან, ანუ უკიდურესი კონტრასტი, ბევრად ეფექტიანია და ხაზგასმულია ქალურობა – მოდის თანმდევი ერთ-ერთი შტრიხი.

დიდი წარმატება კრისტიან დიორის სახლის კოლექციამ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მას (დიორის სახლს) არსებობის ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. ამჯერად, ჯონ გალიანიმ, რომელიც ყოველთვის ქივანშის მოდელების სახლის სახელით გამოდიოდა, ახლა აქ წარმოადგინა ჩვეული ორიგინალობით გამორჩეული საგაზაფხულო, ფერადი კოსტიუმები, ძირითადად, ყვავილებიანი კაბები და სარაფნები. მან გაითვალისწინა კრისტიან დიორის კლასიკური, არაავანგარდული სტილი, რითაც ასაკოვანი ქალბატონები (მომხმარებელი) განსაკუთრებით მოხიბლა.

ვერსაჩემაც გაზაფხულივით ხალისიანი, ულამაზესი, სხვადასხვა ყვავილით დამშვენებული ქსოვილისგან შეკერილი კაბები და ქვედაბოლოები შემოგვთავაზა. თუ გავითვალისწინებთ პაკო რაბანის, ივ სენ ლორანის, ჟან-პოლ გოტიეს, ნინა რიჩის და სხვა წამყვანი დიზაინერების ახალ ნამუშევრებს, დავინახავთ, რომ ისინიც, ძირითადად, ამ მხიარულ ფერებს იყენებენ.

კვირეულიდან გამოიკვეთა, რომ ამ სეზონისთვის აქტუალურია აბრეშუმის, შიფონის, თხელი და ნაზი ქსოვილის ყვავილებიანი, ფერადი, მუხლს ქვემოთ (მიდი) სიგრძის კაბები, რომლებშიც სხეულის ფორმები არავულგარულად იკვეთება.

დაბოლოს, პარიზის მოდის ტრადიციულ კვირეულზე ხაზი გაესვა მთავარს – დავიცვათ ელეგანტურობა და სინაზე...

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: საგაზაფხულო მოდელები.**







მსოფლიო შტრიხებში

# ასეთია სიყვარულისა და სექსის კანონები

ათასჯერ თქმულა და დაწერილა ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე შემორჩენილი უცნაური კანონების თაობაზე. ძნელი წარმოსადგენია, თუ სადამდე მივიდნენ კანონმდებლები სიყვარულთან და სექსთან დამოკიდებულებაში. თუმცა სჯობს, ამაზე თავად ფაქტებმა შეგვიქმნას უფრო ნათელი წარმოდგენა.

**ამერიკის შეერთებული შტატები** ისედაც გამოირჩეოდა თავისი ზეუცნაური კანონმდებლობით და არც სექსთან დამოკიდებულებაში ჩამორჩება ვისმე.

**კოლორადოს** შტატში აკრძალულია მძინარე ქალის კოცნა, **კონექტიკუტის** შტატის ქალაქ **პარტფორდში** არ შეიძლება ცოლის კოცნა კვირა დღეს. **ოჰაიოს** შტატში ქალებს ეკრძალებათ ლაქის ფეხსაცმლის ჩაცმა, რადგან, იქაური კანონმდებლობით, ის ქალის ქვედა საცვლებს აირეკლავს. **ფლორიდაში** სექსის დროს აკრძალულია ქალისათვის მკერდზე კოცნა.

წყნარ ოკეანეში, აშშ გამგებლობის **გუამის** კუნძულზე არსებობს სპეციალური პროფესია – დეფლორატორი. ასეთი სპეციალისტი ქვეყანაში მოგზაურობს და გასამრჯელოს ფასად ქალიშვილებს „ეხმარება“ უბიწობის დაკარგვაში, რადგან იქ აკრძალულია ქალწულად გათხოვება. შესაშური პროფესიაა, არა?!

**ბაჰრეინში** მამაკაც გინეკოლოგს უფლება აქვს პაციენტის სქესობრივი ორგანოები მხოლოდ სარკეში არეკლილი დაათვალიეროს.

**კოლუმბიაში** ქალაქ კალიში ქალს შეუძლია სქესობრივი კავშირი მხოლოდ თავის ქმართან დაამყაროს, თანაც, როცა ეს პირველად ხდება, ამ აქტს პატარძლის დედა უნდა ესწრებოდეს.



**ბოლივიის** ქალაქ სანტა-კრუსში მამაკაცს უფლება არა აქვს ერთდროულად სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდეს ქალთანაც და მის ქალიშვილთანაც.

**ჰონკონგში** ცოლს, რომელსაც ქმარმა უღალატა, შეუძლია მოკლას ის, მაგრამ ერთი პირობით – მას არა აქვს უფლება, რომელიმე იარაღი გამოიყენოს, რაც შეეხება ქმრის საყვარელს, მისი მოკვლა ყველანაირად შეიძლება.

**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში** ჯერ კიდევ მოქმედებს ისლამის ერთ-ერთი ფუნდამენტალური კანონი: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ ცხვრის ხორცის ჭამა, რომელთანაც სქესობრივი კავშირი ჰქონდათ, კაცი, რომელიც ასეთ ხორცს შეჭამს, მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის – ის ველარ მოხვდება სამოთხეში, სადაც 70 ქალწული ელოდება.

**ლიბანში,** სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქრისტიანია, მამაკაცებს ოფიციალურად ეძლევათ ცხოველებთან სქესობრივი კავშირის ნება. მაგრამ არის ძალზე მნიშვნელოვანი შეზღუდვა – პირუტყვი აუცილებლად დედაკაცი უნდა იყოს. მამრ ცხოველებთან ინტიმური კავშირისათვის სიკვდილით დასჯა მოელით. ინდონეზიაში კი, შეიძლება, თავი მოჰკვეთონ მასტურბაციისათვის.

იმავე ამერიკის **მინესოტას** შტატში კატეგორიულად აკრძალულია რაიმე სქესობრივი კავშირი ფრინველებთან.

* * *

ეს მხოლოდ ნაწილია იმ უცნაური კანონებისა, რაც სხვადასხვა ქვეყანაში დღემდე მოქმედებს. როგორც ამბობენ, არსებობს კიდევ უფრო ახირებული ბრძანება-განკარგულებანიც, რომლებიც კონტროლს უწევენ მოქალაქეთა და ქვეშევრდომთა სქესობრივ ცხოვრებას.


# საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს აგრო-ბიზნესის სპეციალისტის თანამდებობაზე

**მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრის“ აგრო-ბიზნესის სპეციალისტის თანამდებობაზე.**

აგრო-ბიზნესის სპეციალისტს დაეკისრება პასუხისმგებლობა პროგრამის რაიონებში (დუშეთი, ასპინძა, ამბროლაური და შუახევი) მცირე ფერმერულ მეურნეობათა მესვეურები უზრუნველყოს კომპლექსური მომსახურეობით. მიზნის მისაღწევად პროგრამის ოთხივე რაიონში მოეწყობა „ფერმერის სახლი.“ აგრო-ბიზნესის სპეციალისტის მოვალეობაა უზრუნველყოს „ფერმერის სახლის“ სრულფასოვანი ფუნქციონირება და დაეხმაროს „ფერმერის სახლის“ მესვეურებს, როგორც მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაში, ასევე მის შემდგომ ფუნქციონირებაში

აგრო-ბიზნეს სპეციალისტი პასუხისმგებელია „ფერმერის სახლთან“ დაკავშირებულ ყველა ტექნიკურ-საზედამხედველო და ფინანსური საკითხების კოორდინირებაზე.

სპეციალისტი ანგარიშვალდებულია პროგრამის დირექტორის წინაშე.

**ძირითადი მოვალეობები:**

- **პროგრამის 2004 წლის სამუშაო გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად უზრუნველყოს „ფერმერთა სახლის“ მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა და ზედამხედველობა; თემის მობილიზაცია; ფერმერული ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესი;**
- **ფერმერის სახლის ფუნქციონირების პროცესში გაანალიზოს ეკონომიკური მაჩვენებლები და მოამზადოს რეკომენდაციები ფერმერთათვის მიწოდებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;**
- **შეიმუშაოს ფერმერული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ სამუშაოთა შეფასების თვისობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები;**
- **უზრუნველყოს ფერმერული ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარება სპეციალური სწავლებით;**
- **ყოველთვიური პროექტის პროგრესის ანგარიშების მომზადება.**

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

__აუცილებელია:__

1. უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის დარგში
2. მარკეტინგის ზოგადი პრინციპების ცოდნა
3. საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება
4. კომპიუტერთან მუშაობის ნორმალური უნარ-ჩვევები,
5. საველე პირობებში (პროგრამის რაიონებში) ინტენსიური მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ ავტობიოგრაფია ქართულ და ინგლისურ (CV) ენებზე, განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი, სერტიფიკატების ასლები.

**საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა. წ. 5 აპრილიდან 15 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ტელ: 98-53-44, 92-39-74.**

# საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს ირიგაციის დარგში ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის თანამდებობაზე

**მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს კონკურსს „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრის“ ირიგაციის დარგში ტექნიკური მომსახურეობის სპეციალისტის თანამდებობაზე.**

ირიგაციის დარგში ტექნიკური მომსახურეობის სპეციალისტს დაეკისრება პასუხისმგებლობა პროგრამის რეგიონებში (ასპინძა, ამბროლაური, შუახევი) ირიგაციასა და საირიგაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ ყველა ტექნიკურ საზედამხედველო და ფინანსურ საკითხებზე, სპეციალისტი ანგარიშვალდებულია პროგრამის დირექტორის წინაშე.

**ძირითადი მოვალეობები:**

- **პროგრამის 2004 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად საირიგაციო-სრეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა და ზედამხედველობა.**
- **საირიგაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მიღებული გაუმჯობესებული წყალმომარაგების ეკონომიკური ანალიზი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ჭრილში.**
- **საველე პირობებში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე ზედამხედველობის შედეგების აღრიცხვა და მონიტორინგი.**
- **პროგრამით განსახორციელებელი შესაბამისი ღონისძიებების წინსვლა და საქმიანობის მონიტორინგი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა სამომავლო სტრატეგიაში გამოყენების მიზნით.**
- **ყოველთვიური მიმდინარე შესაბამისი ანგარიშების შედგენა.**

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

__აუცილებელია:__

1. უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში (ჰიდრო-ინჟინერი),
2. მინიმუმ 5 წლის გამოცდილება საირიგაციო და ჰიდროლოგიური ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ზედამხედველობაში.
3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება,
4. კომპიუტერთან მუშაობის ნორმალური უნარ-ჩვევები,
5. საველე პირობებში (პროგრამის რეგიონებში) ინტენსიური მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ ავტობიოგრაფია ქართულ და ინგლისურ (CV) ენებზე, განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი, სერტიფიკატების ასლები.

**საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა.წ. 5 აპრილიდან 15 აპრილის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავა ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ტელ: 98-53-44, 92-39-74.**


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 5 აპრილი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.15** მხ. ფილმი **"ლამაზი სერჩი"** **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"სოლედადი"** **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "ლიონი" **15.15** მხ. ფილმი **"რა იცოდა მეიზიმ"** **16.45** რამპა **16.50** ჩემპიონი **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **19.00** მრავალჟამიერ **19.25** "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი **"სოლედადი"** **22.10** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (მელანი გრიფიტი) **23.30** მხ. ფილმი **"პრინცესა დი"**

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.35** კინოსეანსი **"ფორსაიტების საგა"** 13-14 ს. **20.55** პალიტრა **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი **"მოცეკვავე მანქანა"**

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი **"შურისძიება"** **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** **ბუნდეს ლიგა** **16.30** სერიალი **"მაშველები"** **17.05** პერეკრესტოკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი **"შურისძიება"** **22.00** სერიალი **"ჯაშუში"** **22.50** ღამის კურიერი **23.20** მხ. ფილმი **"გაახილე თვალები"**. მთ. რ-ში: პენელოპა კრუსი, ედუარდო ნორიეგა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.05** მხ. ფილმი **10.20** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

**07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.10, 11.20, 13.15, 16.50, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის"დილა **10.10** "დროება" **11.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **12.10** სერიალი **"კლონი"** **13.30** "ლარის მახე" **14.05** თამაში: უდაბნოს სამჭედლოები **15.15** მხ. ფილმი **"დიდიე"** **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" მე-20ს. **18.05** სერიალი **"ტყუპები"** **19.35** სერიალი **"კლონი"** **20.30** ქართ. სერიალი **"თენდება გვიან"** მე-5ს. **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** "არჩევანი თქვენ" **00.20** სპორტ. პროგრამა "გოლი" **00.50** მხ. ფილმი **"ატლანტიდა"**(დ.ხარატიანი)

**18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი **"ველური მთვარე"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი **"დრაკონის გზა"** (ბრიუს ლი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი **"გამოსვლა"** (პოლ ნიუმანი)

**12.00** ინდური მხ. ფილმი **"აჩქარებული გულები"** **15.00** მხ. ფილმი **"ადამიანი რკინის ნიღაბში"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"შიშველი პისტოლეტი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"დათვი"** **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი **"სკეიტბორდისტები"**. მთ.რ-ში მაიკლ ვოტელი, ვინს ვაილარი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **"ძუკნა სიყვარული"**. მთ.რ-ში ემილიო ეჩივარია. **03.00** პაუზის გარეშე

**08.00** პროგრამა **"დილა"** **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა **"დილა"** **10.25** რუს. სერიალი **"დიდი შესვენება"** **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50, 17.50, 20.15** მუსიკა **12.00** ქართ. ფილმი **"ფესვები"** **13.25** მოკ. მხ. ფილმი **13.40** "ბელისიმო" **14.15** "ოლიმპი" **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მხ. ფილმი **"შინაგანი წუხილი"** **17.00** მხ. სერიალი **"მისტერ ბინი"** 1-ლი ს. **18.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი **"პატარა აინშტაინები"** **19.00** სერიალი **"ზურგის ქარი"** **20.00** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **22.00** სერიალი **"მოჯადოება"** **23.00** ღამის მატარებელი **01.00** მხ.ფილმი **"პიკის საათი"**

